№ 2739
ხუთშაბათი,
10 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2739
ხუთშაბათი,
10 თებერვალი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896 - 1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. въ редакцію „Цнобисъ-Пуриели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

კვირას, 13 თებერვალს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი პოლკოვნიკ,

თავად ივანე (ოქრო) ილიას ძე მაჩაბლის,

პორტ-არტურში მოკლულის, სულის მოსახსენებლად, რასაც მეუღლე განსვენებულისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. წირვა—10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—40—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. (აბონემენტის რიცხვში)

ხუთშაბათს, 10 თებერვალს ბენეფისი ტასო აბაშიძისა. ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა

პეპელათა ბრძოლა

კომედ. 4 მოქ. თხზ. ზუდერმანისა, თარ. ვ. შალიკაშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მორიგი რეჟისორი: ვ. აბაშიძე

დიდი ვაჭრობა

კავკასიის **პირველი ამხანაგობა დამზადებულ ტანისამოსის** ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანცისა. ნიკოლოოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.

რადგან დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,—ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ **იაფი ვაჭრობა** 20 დღით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასები ულაპარაკოდ. (150—10)

კახეთის მევენახეთა საზოგადოება

„კახეთი“-ს

გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1905 წ. 28 თებერვალს დანიშნულია საზოგადო კრება ქ. ტფილისში დილის 10 საათზე. კრებამ უნდა განიხილოს: წლიური ანგარიში, 1904—1905 წლ. ხარჯთ-აღრიცხვა, ღვინის დაფასების ზოგიერთი მუხლების შეცვლა; მოხსენება განყოფილებების შესახებ; თ-დ. არ. დ. ჭავჭავაძის წინადადება შესახებ წესდების შეცვლისა; მოხსენება შესახებ საქმის გაუმჯობესებისა; 4 სარევიზიო წევრის ერთი გამგეობის წევრისდა კანდიდატის და ერთი მიმღებ კომიტეტის წევრის არჩევანი. (2—6.—2)

სახლების მშენებელთა საყურადღებოდ

ახლად გამოგონებული „რევიზვილის“ სისტემის თვითმიმზიდველი კარ-ფანჯრების საკეტი

შპინგალეტები

გამომგონს კანტორა მოსკოვსა და პეტერბურგში აქვს. კავკასიაში უმთავრესი წარმომადგენლობა აღებული აქვს და მსყიდველთ შეუძლიათ მიმართონ და ნიმუშები ნახონ: 1) ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან—ამხ. „კოლხიდა“ და 2) ტფილისში—დავით პაატას ძე მაჭავარიანთან—სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის შენობის ეზოში, ტელეფონი № 885. (24—8)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.

ნ. ტ. ილინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ი. დ. ლამაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ც. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვების 12—1 ს.

ქალი ო. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$ $1\frac{1}{2}$ საათ.

ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი

ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩ[illegible]თხე, მესხიშვილის სახ[illegible] ფოსტის პირდაპირ № 18. [illegible]—12)

კბილის ექიმი

ივანე კ. ახალშენიშვილი

ადრესი: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

ქუთაისში

[illegible] ექიმი

დავით [illegible] ყინაშვილი

...დავიდა **შუროზცოვის ქუჩაზე** წმ. ნინოს ...ების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს ...ლის 9—[illegible] საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—23)

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

იღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ...ფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. ...რციულ ბანკის სახლი. (60—403—7

კბილებს

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვუსვამ ...ლ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. ...მ. იოხვედი. მიხეილის ქუჩა № 108. გერმანელთ ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—417—26)

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—14)

ქ. ბათუმში

ექიმი ს. ი. ზუბიშვილი

იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბავშო) დილით 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარცელოვის სახლი. (30—0101—27).

ექიმი

გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—36).

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში. ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—7)

ყვირილაში

შაბათს, 12 თებერვალს 1905 წ. ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის მიერ **ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის** გამგეობით და მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

✦ **კაი ბრაკხი** ✦

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათ. (3—6—3)

სოფ. ცხეთაში სადგურის ახლო გაიხსნა

აფთიაქი

სარდიონ ალფეზის ძე ყანჩელისა. (3—53—3)

საყმაწვილო ჟურნალ

ნაკადულის

რედაქცია აცხადებს ქუთათურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ, რომ იმათ, რომელთაც ნომრები არ მიუღიათ ან არ მიიღებენ, საქმის გასარკვევად უნდა მიმართონ „კოლხიდის“ ამხანაგობაში ბ-ნ ი. კვიცარიძეს. (2—2)

ნამდვილი ცელულ არჩეული

✦ **თესლი აბრეშუმისა** ✦

ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა

ა. კ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პახკალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—8)

ქუთაისში შუაგულ ქალაქში, საუკეთესო ქუჩაზე, სობოროს მახლობლად იყიდება შემოსავლიანი მამული შენობით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სტეფანე ფეიქაროვის მაღაზიაში. (12—4).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 თებერვალი

ხუანშანი, 8 თებერვალი. ცინხეჩენის მიდამოებში იაპონელები წინ გალაშქრებას განაგრძობენ. 6 თებერვალს თოფისა და ზარბაზნის სროლა იყო. დღეს იაპონელებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და შუადღიდან ცინხილინის უღელტეხილს ზარბაზანი დაუშინეს. სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ უფრო ბეჯითად მოდიან წინა. იაპონელებს რვა ბატალიონი ჰყავთ ცაბალინ-ჩენზელინის შუა.

ტოკიო, 8 თებერვალი. ოიამა ოფიციალურად იუწყება, რომ გუშინ რუსების პატარა რაზმმა იერიში მოიტანა ფუშინზე. რუსებმა შაბათს ღამით მძიმე ზარბაზნები დაუშინეს ლაპატაისაო.

ფრიდრიხსგაფენი, 8 თებერვალი. რუსის ესკადრა ქვა-ნახშირს უღებს სკაგენის ბუხტაში. დანიის კანონირი და ნაღმიანი გემები მოვიდნენ ესკადრის გასაცილებლად.

ბერლინი, 7 თებერვალი („ვოლფი“). პრინც ფრიდრიხ ლეოპოლდს იმის ასპარეზზე ადიუტანტი მაიორი რატენევი გაჰყვება.

სახეტუნი, 8 თებერვალი. დილის შვიდ საათზე მარჯვენა ფრთაზე ჩვეულებრივი სროლა იყო, ცენტრში კი სიწყნარეა. მარცხენა ფრთაზე კანონადის შემდეგ დაიწყეს დაზვერვა, დემონსტრაცია მოახდინეს კუდიაზის წინაამდეგ ერდაგოუს მიდამოებში. თავიანთ პოზიციებზე აფეთქებას ახდენდნენ ზარბაზნების დასადგმელად. ჩვენამდე მოდიოდა ჯავშნის გამხვრეტი 75 მილიმეტრიანი ყუმბარები. აღმოსავლეთისაკენ, ხუნანის ახლო, ჩვენ მოხალისეებს სროლა ჰქონდათ. იაპონელების ორმა როტამ დაზვერვა მოახდინა მარცხენა ფლანგზე.

ფეოდოსია, 8 თებერვალი. ცხრის ნახევარზე გემი „სვიატოი ნიკოლაი“ მოადგა ნავთ-სადგურს. გენერალ სტესელს თავი აქვს შეხვეული; იქვე იდგნენ გენერლები ნადეინი და სკორობოგატოვი, პოლკოვნიკი რაისი და სხვები; სტესელი ხალხს თავს უკრავდა. ქალაქის დუმის თავმჯდომარემ პურ-მარილი და ადრესი მიართვა. წითელ ჯვრის განყოფილებამ მიართვა სტესელის მეუღლეს ადრესი. სტესელი მიუბრუნდა ხალხს და უთხრა—„ჩემი თანამოღვაწე აფიცრები და სალდათები, სამშობლოში დაბრუნებისას, დაბლა თავს გიკრავენ“. ბევრი ნათესავები იყვნენ, ზოგი მათგანი სტიროდა. სტესელი ანუგეშებდა ობლებსა და ქვრივებს; ხალხი ხელებზე კოცნიდა. სტესელისა და სხვა აფიცრების სიტყვით, გაზეთის ცნობები შესახებ გადარჩენილ ჯარებისა და სურსათისა სრულიად არ არის მართალი, ფლოტი მოსპობილია, შეკეთება არ შეიძლება. აფიცრებსა და მსროლელებს თვითონ აუფეთქებიათ გემები. წამალი აღარ იყო, თითქმის ყველა ავად იყო. ციხე ერთ დღეზე მეტს ვეღარ გასძლებდა. კაპიტულიაციამ გააადვილა ქალებისა და მცხოვრებთა მდგომარეობა. მოსულ აფიცერთა ნახევარი დაჭრილია. ნაპირზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი. შემდეგ სტესელმა მოკლედ უამბო ხალხს პორტ-არტურის მდგომარეობა. პასუხად ხმა-მაღალი „ურა“ გაისმა. დღეს სტესელი ფეოდოსიაში რჩება. სხვა აფიცრები ვილნოს პოლკს მიაშურეს.

პარიზი, 7 თებერვალი. საგამომძიებლო კომისიას ყოველ დღე საიდუმლო სხდომები აქვს. ფიქრობენ, კომისია დაადგენს, რომ როჟესტვენსკის საბუთი ჰქონდა თავისი თავი განსაცდელში ჩაეთვალა. იმისი საქციელი გასაკიცხი არ არის. კომისია არ განიხილავს იმას, თუ ჩრდილოეთ ზღვაში რა ადგილას იყვნენ ნაღმიანი გემები. დასკვნის შედგენა მიენდო ადმირალს შპაუნს. დასკვნას აცნობებენ რუსეთისა და ინგლისის მთავრობებს. შემდეგ, მომავალ კვირას კი დასკვნა საჯაროდ გამოცხადდება. კომისიამ მხედველობაში მიიღო რუსეთის მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ საკითხი დაზარალებულთა დაჯილდოვების შესახებ ჰააგის ტრიბუნალს გადაეცეს.

პარიზი, 8 თებერვალი. პორტ-არტურელების სიტყვით, ციხიდან დალნიმდე აფიცრები ორი დღე ქვეითად ატარეს, ერთი დღე რკინის გზით. თითეულს კონსერვების პატარა ყუთები დაურიგეს და ორ-ორი ბისკვიტი. დალნიში აფიცრები ერთ ოთახში ჩაკეტეს და დარაჯებიც მიუყენეს. ცოტაოდენი ტანისამოსის წაღების ნება მისცეს. იაპონიაში თუმცა აფიცრებს უთხრეს—მიკადოს სტუმრები ხართო, მაგრამ მაინც რამდენიმე მანეთი მოსთხოვეს თითეულს აფიცერს დღიურათ. სტესელის სიტყვით, კუვერვილი ზღვით წავიდა, რადგან არ მოუვიდა გასასვლელი ბარათი, თან დიდათ საყურადღებო საბუთები მიჰქონდა, პორტ არტურის მდგომარეობის შესახებ.

ხარკოვი, 8 თებერვალი. ფეოდოსიაში სტესელის სახელზე შემდეგი დეპეშა გაიგზავნა: „ხარკოვის ერობა გესალმება თქვენ და პორტ-არტურის ყველა დამცველებს და ულრმესად პატივსა სცემს იქვენს ღვაწლს და გმირობას, რომელთაც მთელი ქვეყანა გააკვირვეს. თქვენი მოქმედება საუკეთესო ხანას შეადგენს ჩვენის სამხედრო ისტორიისას და დაიმსახურებს რუსეთის საუკუნო მადლობას.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

8 თებერვალი

შანხაი. რადგან სტესელის მიერ დადებულ კაპიტულიაციის პირობაში მშვიდობიან მცხოვრებლების ინტერესი მოხსენებული არ იყო, უმეტესობას პორტ-არტურიდან გამოსვლის დროს ქონება დაეკარგა. პორტ-არტურიდან ხალხის გამოსასვლელად არავითარი ღონის-ძიება არ იყო მიღებული და მხოლოდ ერთის თვის შემდეგ შანხაიდან მოახდინეს განკარგულება. პორტ-არტურის მცხოვრებლები და ტყვეები დალნიში მოგროვდნენ და ყველანი ხნიერებისა, სქესისა, ჯანმთელობისა და ხარისხის გაურჩევლად პირუტყვივით ცივ, ქუჯყიან, მოუწყობელ სადგომებში ეყარნენ. ნაგასაკში, სადაც ტყვეები გაგზავნეს, რუსებს გაცილებით უკეთესათ ექცევიან. შანხაიში პავლოვისა, დესინოსა, კონსულ კლეიმენოვისა და ადმირალ გრიგოროვიჩის მონაწილეობით საგანგებო კომისია მოქმედებს, პორტ-არტურიდან მოსულ ხალხს სადგომსა და საჭმელს აძლევს და ოდესაში ისტუმრებს. შანხაი სავსეა ცუდად ჩაცმულ რუსებით, რომლებიც უცხოელების ყურადღებას იზიდვენ.—იაპონელების მიერ გამოცხადებული დამორჩილებულ რუსის მეციხოვნე ჯარის რიცხვი გაცილებით სჭარბობს კაპიტულიაციაში მოხსენებულ რიცხვს.

პორტ-ლუისი. რუსის ესკადრის ნოსიბოში ყოფნის დროს, რუსებმა დიდძალი ფქვილი და კარტოფილი შეიძინეს. ერთი კონტრ-ნაღმიანი და 6 ქვა-ნახშირის მზიდველი გემი ჯერ კიდევ დიეგო-სუარეცში დგანან.

ლონდონი. გემი „ნოვდერგმი“ შანხაიში მისვლის შემდეგ დამზღვევ საზოგადოების აგენტებმა დაიჭირეს, სჯობია დაგვიანების ჯარიმა გადავიხადოთ, თორემ, გზა რომ განაგრძოს გემმა, იაპონელები დაიჭერენო. საქონლის პატრონებმა დიდი ფული მოითხოვეს გემის დაგვიანებისათვის, ამიტომ გემმა გზა განაგრძო და რამდენსამე დღის შემდეგ იაპონელებმა ჩაიგდეს ხელში. იაპონელებმა სულ 11 ქვა-ნახშირის მზიდველი და 5 სავაჭრო გემი ჩაიგდეს ხელში. ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს, რადგან ერთთავად იაპონელების მიერ დაჭერილ გემებზე მოდის ცნობა, ვლადივოსტოკში მისულ გემებზე-კი არა. ვლადივოსტოკში გაგზავნილ გემების დამზღვევნი შეწუხებულნი არიან.

პარიზი. 7 თებ. „ტანის“ კორესპონდენტი ლეიტენანტ ბერგს ესაუბრა, რომელიც კონდრატენკოს მოკვლის დროს იმის გვერდით იდგა; იმის სიტყვით, ყველა აფიცრები შეგროვდნენ სიმაგრე „მეორე ნომერში“. აფიცრები მიესალმნენ გენერალს და მისი სადღეგრძელო დალიეს. კონდრატენკომ უპასუხა—„სჯობია თქვენი სადღეგრძელო დალიოთო.“—გაათავა თუ არა ეს სიტყვა, საშინელი აფეთქება მოხდა და გენერალი აქვე წაიქცა. ლეიტენანტი ბერგი ამბობს, იაპონელებმა 60 ათასი კაცი დაჰკარგეს პორტ-არტურთან. იმის სიტყვით, გენერალ ნოგიმ თითონ იაპონელებს მიუბრუნა ზარბაზნები და ამით აიძულა ციხეზე იერიში მიეტანათ.

სტამბოლი. 7 თებ. (საკ. კორეს.) სულთანმა სტესელს უბოძა ოსმანიეს ორდენი ბრილიანტებით, ხოლო სტესელის მეუღლეს ორდენი „შეფაკატზე“, აფიცრებმაც სხვა და სხვა ორდენები მიიღეს.

ფეოდოსია, 8 თებერვალი. გენერალი სტესელი მიდის პეტერბურგს 9 თებერვალს; ყველა დანარჩენი აფიცრები დროებით ჩარიცხულნი არიან ვილნოს პოლკში. რადგან სასტუმროში ადგილი აღარ არის, მცხოვრებნი თავიანთ ბინას სთავაზობენ მოსულებს. ყველანი, გარდა მძიმედ დაჭრილებისა, კარგად გრძნობენ თავს. სტესელის მეუღლეს მიართვეს თაიგული ქალაქის თვითმმართველობისა, ვილნოს პოლკისა და წითელ ჯვრის კომიტეტის სახელით შეხვედრის შემდეგ გადაიხადეს პარაკლისი. გენერალი სტესელი და აფიცრები სამხედრო კლუბში წავიდნენ. ქუჩები სავსეა ხალხით. „ურა“-თი მიაცილეს პორტ-არტურელები კლუბამდე, სადაც საუზმე გაუმართეს. სტესელმა „ურა“-ს პასუხად უთხრა ხალხს: „სახელოვან ქალაქის მოქალაქენო, ფეოდოსიაში პირველად შემოვდგით ფეხი რუსულ მიწაზე, და თქვენი შეხვედრა ჩვენთვის ძვირფასს სამშობლოში, თქვენი მშობლიური სიტყვა ჩემ თანამებრძოლებისა და პორტ-არტურის დამცველების გულს მოხვდა. მიწამდე გიკრავთ თავს და ერთხელ კიდევ გმადლობთ“.

ტოკიო, 8 თებერვალი. რადგან მოსალოდნელია ვლადივოსტოკზე თავდასხმა, რუსები ამაგრებენ მდინარე ტუმენის მანჯურიის ნაპირს. შახეზე ზარბაზნების სროლაა.

ბერლინი, 8 თებერვ. (საკუთ. [illegible] პოლკოვნიკი გედკე ჰკიცხავს გრ[illegible] დისციპლინის დარღვევისათვის. ა[illegible] ელს არსად არ მოითმენდნენო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. მანჯურიაში, ცოტა არ იყოს, დათბა და სამხედრო მოქმედებაც თან და თან ძლიერდება. ბოლოს დროს მოსულ დეპეშებიდან სჩანს, რომ გენ. კუროკის არმიის მარჯვენა ფრთას წინ გაულაშქრია ცინხეჩენისაკენ. ჯერ ი[illegible] ყურადღებო არა მომხდარა-რა, მა[illegible] იძლება მალე დიდი ამბები მოხდეს. გენ. კუროპატკინსაც ბევრი ჯარი გაუგზავნია გენ. კუროკის წინაამდეგ...

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ჩინელი ვაჭრები ამბობენ, როცა რუსებმა 12 იანვარს იაპონიის მარცხენა ფრთის წინაამდეგ გაილაშქრეს, გენ. ოკუმ ბრძანება მიიღო მარშალ ოიამასაგან, იერიში მიიტანე რუსის არმიაზეო. გენ. ოკუმ შეასრულა ბრძანება, მაგრამ რუსებს ყინვამ უშველათ. ყინვა 23 გრადუსამდე აღიოდა. იაპონელებმა მხოლოდ განდევნეს რუსები და შორს ვეღარ გაჰყვნენ, სიცივემ შეაყენა გამწ[illegible] ბრძოლა. თუ რა საზარელი [illegible] იყო სანდეპუს მიდამოებში, ეს [illegible] სჩანს, რომ რუსებმა ხუთ დღეში 75 ათასი ყუმბარა გაისროლეს... ვაჭრები ამბობენ, რომ იაპონელები ჩაძირულ გემების მექანიზმისა, ქვაბებისა და ზარბაზნების ამოღებას ცდილობენ. 35-მდე დიდი ზარბაზანი, ალბად 9 და 11 დიუიმიანები, რკინის გზით წამოუღიათ და ამ ჟამად ლიაოიანის ფორტებზე დაუდგამთ. გენ. ნოგის არმიის მოწინავე რაზმებს იანვრის ნახევარში ელოდნენ ომის ასპარეზზე, მაგრამ 12—16 იანვრის ბრძოლამ დააშურებინათ ჯარის მოყვანა. იგივე ჩინელები ამბობენ, ნოგის [illegible] დივიზია მარცხენა ფრთასა და ცენტრში (ოკუსა და ნოძუსთან) მოვიდა; [illegible] ბრიგადები, როგორც უფრო [illegible] აღმოსავლეთისაკენ წავიდნენ (გენ. კუროკის არმიისაკენ) რუსის არმიის გვერდიდან შემოსასვლელად. გენ. ნოგი ამ ჟამად იაპონიაშია და როცა დაბრუნდება, ცალკე არმიის უფროსობას შეუდგება; გენ. ნოგის ახალი არმია ხსენებულ სარეზერვო [illegible] გადმოებისა და გენ. კუროკის [illegible] წილისაგან შესდგება. ამბობენ, მდ. [illegible] ხეობით ხეილუნჩენისაკენ (ტელინის დასავლეთით) მიდიან და რუსის არმიის მარცხენა ფრთას გვერდიდან უვლიან... ჩინელები ამბობენ, გენ. კავამურას ახალი არმია—სამი დივიზია—ამ დღეებში გ[illegible] მოვა იაპონიიდანაო. გენ. კავამურას არმიის ნაწილი არტურსა, ტალიერენსა (დალნში), ინკოუსა და ლიაოიანში დარჩება მეციხოვნე ჯარად, იქაური ჯარი-კი ომის ასპარეზზე გაიგზავნება. ახალ არმიის დანარჩენი ნაწილი რკინის გზას დაიცავს... იაპონელები მეტად მალე იგებენ ყველაფერს, რაც კი რუსის არმიაში ხდება. ას[illegible] რუსებმა იაპონურ გაზეთ „ჯაპან ტეიმს“-ის 15 იანვრის ნომერი იპოვეს და იქ ცნობა წაიკითხეს, გენ. გრიპენბერგი რუსეთში ბრუნდებაო; იმ დროს რუსებმაც არ იცოდნენ კარგად ეს ამბავი“...

საზღვაო გაზ. „კოტლინი“ სწერს: იაპონელებმა მარტო წარსულ იანვარში 8 გემი დაიჭირეს; ეს გემები 271,500 სტერლინგი ღირს, იმათი ტვირთი 318 ათასი გირვანქა სტერლინგი, სულ გემები [illegible] 589,500 გირვ. სტერლინგი ან 6 მილიონი მანეთი ღირს. ყველა დაჭერილი გემი იაპონელებმა სასებოში მიიყვანეს და სამი გემი კიდევაც გამოაცხადეს კანონიერ პრიზად.

პოლკოვნიკი ფედოროვი ჩივის „რუსკ

ინვალიდ"-ში, იაპონელები მშვენივრად ადევნებენ თვალ-ყურს რუსის არმიას, რუსები კი ვერა. რუსის არტილერიას კარგი ბინოკლებიც-კი არა აქვსო.

ბაიკალის ტბის გვერდზე გაყვანილ რკინის გზაზე ჯერ წესიერი მგზავრთ მიმოსვლა არაა დაწესებული, რადგან ეს გზა ჯერ რიგზე არაა აშენებული და ჯერ დიდი შეკეთება სჭირია. რკინის გზის გამგეობა დიდ ფულსა თხოულობს გზის შესაკეთებლად. („რ.")

წელიწადი ომი. „ნ. ფრ. პრესე"-ს სამხედრო მიმომხილველი რუსეთის და იაპონიის ფლოტის წარსულ მოქმედებას იხილავს და ამბობს, საზღვაო ისტორიას არ ახსოვს, რომ სხვა რომელისამე ფლოტის საქმე ასე უბედურად წასულიყოს, როგორც პორტ-არტურის ესკადრის საქმე წავიდა. ისტორიას არ ახსოვს სხვა ფლოტი, რომ ასე უბედურად დაეღუპოს თავის თითქმის თანასწორ მოპირდაპირეს... ამ დიდ მსოფლიო ამბავს მეტად ღრმა მნიშვნელობა აქვს. რუსეთი ამ ოცის წლის განმავლობაში იმ დენს ჰხარჯავდა თავის ფლოტზე, რომ მართლა ძლიერი ფლოტი უნდა გაეჩინა ყვითელ ზღვაში და იაპონიას ბრძოლა არც კი უნდა შესძლებოდა რუსის ფლოტთან, რადგან იაპონია ამ ხნის განმავლობაში გაცილებით ნაკლებსა ჰხარჯავდა თავის ფლოტზე. მართალია, ვერავინ იტყვის იმას, რომ რუსეთს გონივრულად დაეხარჯოს ფლოტისთვის დანიშნული ფული, მაგრამ ის-კი უეჭველია, რუსეთს რომ თავის დროზე ჩაეყვანა თავისი ფლოტი ყვითელ ზღვაში, ეხლანდელი ომი ან სულ არ მოხდებოდა, ან რუსეთი თითონაც შეიძლებდა იერიშის მიტანას იაპონიის ფლოტზე და იქნება გამარჯვებულიც გამოსულიყო. თუმცა რიგიანად მოწყობილ ფლოტის ჩაყვანა ყვითელ ზღვაში სულაც არ იყო ძნელი, მაგრამ რუსეთმა მაინც ვერ მოახერხა ეს საქმე. ომის დაწყების წინ რუსეთს საკმაო ფლოტი არა ჰყავდა შორეულ აღმოსავლეთში და იმ ფლოტმაც, რაც იქა ჰყავდა, იმედი არ გაამართლა. როცა ფლოტი ომის დროს იმედს არ ამართლებს, ეს საზღვაო წესების და თვით მთელის სახელმწიფო წეს-წყობილების უხეირობას მოასწავებს. ასე რომ ყვითელ ზღვაში მოხდარმა ბრძოლამ რუსეთის საზღვაო სამინისტროს და მთელი სახელმწიფო წეს-წყობილების გამოუსადეგრობა დაამტკიცა. საზღვაო სამინისტრომ დროზე ვერ ასწონ-დასწონა საქმის ვითარება და შესაფერი ღონისძიება ვერ მიიღო. ბალტიის ესკადრა მეტის მეტად ნელა დაამზადეს... ესეც ცხადად ამტკიცებს რუსეთის საზღვაო სამინისტროს წესების უვარგისობას, თუ ამას კიდევ დამტკიცება სჭირდება! საბერძნეთისა, კართაგენისა, რომისა, გენუისა, ვენეციისა, ინგლისისა, ამერიკისა და თვით იაპონიის ფლოტის ისტორია ცხადად გვიმტკიცებს, რომ მხოლოდ თავისუფალ, რიგზე მოწყობილ განათლებულ სახელმწიფოს შეუძლიან ძლიერ ფლოტის შექმნა და მოხმარება. ამიტომ, რაც უნდა ძლიერი ფლოტი ჩაიყვანოს რუსეთმა შორეულ აღმოსავლეთში, ვერ გაიმარჯვებს. ისტორია ცხადად ამტკიცებს, რომ ძლიერ ფლოტის დასაარსებლად მარტო ფულის დახარჯვა არა კმარა, საჭიროა მთელის სახელმწიფოს წეს-წყობილების შეცვლა. მაგრამ ბიუროკრატიას სად დაჰრთოდის ეინტერესებოდა ისტორიის შესწავლა... („ნ. ჟ.").

ცნობილი გერმანელი გენ. ფონ დერ-გოლცი ყველაზე მეტ მნიშვნელობას პორტ-არტურის აღებას აძლევს. გენერალი სწერს „დაიჩერევიუ"-ში, „პირველი მაგალითია ისტორიაში, რომ აზიელ ერს ასე დაემარცხებინოს ევროპიელი ერი. პორტ-არტურის აღება დიდ ცვლილებას მოახდენს მსოფლიო ისტორიაში. აზიის სხვა ერებიც მიჰბაძავენ იაპონიას: ეხლა ევროპიელ ჯარს აღარავინ ჩასთვლის უძლეველ ჯარად. იქნება ევროპიელებისათვის სასერგებლოც იყოს, რომ აზიაში ასეთი ღირსეული მოპირდაპირენი შეჰხვდებიან... იაპონელები გონივრულად მოიქცნენ, რომ პორტ-არტურს დიდი ჯარი შემოახვიეს, აიღეს და რუსის ფლოტს ბაზა წაართვეს. ეხლა იაპონელებს თავისუფლად შეუძლიანთ ჯარის ზიდვა მანჯურიაში. დასასრულ იაპონელებმა პორტ-არტურთან დაამტკიცეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საინჟინერო ხელოვნებას და ამით დიდი ცვლილება მოახდინეს სამხედრო ხელოვნებაში.... („რ.").

ჩვენი საჭიროებანი

IV

ქალაქში

რუსეთის დღევანდელი ქალაქი ის აღარ არის, რაც ამ 20—30 წლის წინად იყო. ვაჭრობისა და მწარმოებლობის გაძლიერებამ თვალსაჩინოდ შესცვალა ქალაქის ფიზიონომია. წინად იგი უფრო დიდ დაბას წარმოადგენდა, ეხლა ევროპიული ქალაქია, სადაც ცხოვრების მაჯა ძლიერად სცემს. წინად ქალაქი ვაჭრების, ხელოსნების და მოხელეთა საცხოვრებელი ბინა იყო, სადაც პატრიარქალური, თითქმის სოფლური ცხოვრება ჰსუფევდა; დღეს-კი ქალაქი მატერიალურ და სულიერ ცხოვრების ცენტრი შეიქმნა, საითკენაც მრავალი ხალხი მიილტვის. ეხლა ხელოსნებისა და მოხელეების გარდა ქალაქში გაჩნდა ორი ძლიერი ელემენტი—ინტელიგენცია და მუშა, რომელთაც პატრიარქალური ქალაქი არ იცნობდა. ინტელიგენცია მოხელეობას-კი აღარ მისდევს, არამედ სხვა-და-სხვა თავისუფალ პროფესსიასა და ამასთანავე განვითარებულ მრეწველობას ემსახურება; მუშა ხალხი-კი ჰქმნის აუარებელ სიმდიდრეს, რომელიც მარტო ამ ქალაქის საჭიროებას-კი არ აკმაყოფილებს, არამედ და უმეტესად მსოფლიო ბაზარზე გააქვთ...

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის ცხოვრება ასე გართულდა, ქალაქი ასე გაიზარდა და გადასხვაფერდა, იმის შინაურ საქმეების მართვა-გამგეობა ისევ ძველებური დარჩა. რუსეთის ქალაქის დღევანდელი თვითმმართველობა ნამდვილი ანახრონიზმია, ძველის დროის ნაშთი, და სრულიად აღარ შეეფერება თანამედროვე მოთხოვნათა და საჭიროებათ.

„დიდ რეფორმათა ეპოქის" დასასრულ (მე-70 წლების დასაწყისში) მთავრობამ გაიხსენა ქალაქიც და განიზრახა იმის შინაურ საქმეების მართვა-გამგეობის შეცვლა, მაგრამ ბიუროკრატიამ აქაც არ უღალატა თავის პრინციპს და სრულის რეფორმის მაგიერ „ნახევრად თვითმმართველობის" წესი შემოიღო. პირველად ყოვლისა ქალაქის პატრონებად იცნო მხოლოდ სახლის პატრონები და ვაჭრები; ესენიც ჯგუფებად დაჰყო შეძლების მიხედვით და მაღალი ცენზი შემოიღო; ღარიბნი-კი სულ გამოირიცხნენ საარჩევნო სიებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ წესით ქალაქი სულ კეთილსაიმედო პირთ ჩაუვარდა ხელში და მათი სამოქმედო ასპარეზიც ძლიერ შეიზღუდა, იჭვიანმა ბიუროკრატიამ ადგილობრივ ადმინისტრაციის სასტიკი კონტროლი მიუჩინა და ამრიგად შეჰბოჭა ახალ თვითმმართველობის მოღვაწეობა. საქმის ასე დაყენებამ მალე შესაფერისი ნაყოფიც მოიტანა. პირველ ხანებში, კიდევ, საქალაქო თვითმმართველობა იჩენდა ცოტაოდენ მხნეობას და, წინანდელ პოლიციურ მმართველობასთან შედარებით, გამოაცოცხლა ქალაქის საქმეები, მაგრამ მალე მხნეობაც ჩაჰქრა და საქალაქო დაწესებულებათა მოქმედებამ ერთმხრივი ხასიათი მიიღო. საარჩევნო უფლების შეზღუდვამ ბოლოს და ბოლოს ქალაქის მართვა მდიდარ მეპატრონეთ ჩაუგდო ხელში, რომელთაც საუკეთესო ელემენტები განაძევეს; ყველა მცხოვრებთაგან მოკრეფილს ფულს თავიანთ უბნების გამშვენიერებასა და თავიანთ საჭიროებას ანდომებდნენ.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ საქმის ასე დატოვება არ შეიძლება და ქალაქის მმართველობის გაცხოველებისათვის საჭიროა რეფორმა: საარჩევნო უფლების გაფართოვება, საქალაქო მმართველობის კომპეტენციის გადიდება და ადმინისტრაციის კონტროლის შესუსტება. მაგრამ სწორედ იმ დროს რუსეთში რეაქცია გაძლიერდა და ბიუროკრატიამ ისიც დაარღვია, რაც წინად იყო. ისევე დიმ. ტოლსტოიმ, რომელმაც ერობა დაამახინჯა, ქალაქის თვითმმართველობასაც აუგო წესი: საარჩევნო უფლება შეზღუდა სახლის მეპატრონეთათვის ცენზის გადიდებითა და წვრილ ვაჭართა სრულის გამორიცხვით, საქალაქო მოღვაწეობის ასპარეზიც შეამცირა და ადმინისტრაციის კონტროლიც გააძლიერა, ესე იგი, მოახდინა სრულიად წინააღმდეგი ცვლილებანი, ვიდრე ცხოვრება მოითხოვდა.

საქალაქო თვითმმართველობის ასეთმა დამახინჯებამ სრულიად დასცა საქალაქო მოღვაწეობის განვითარების საქმე. მაშინ როდესაც საზღვარ-გარედ მუნიციპალური ცხოვრება განვითარდა, როცა ევროპის ქალაქებმა მცხოვრებთა მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ათასი სხვა-და-სხვა საქმე გამოიწყეს, რუსეთის ქალაქების მოღვაწეობა ქუჩების მოკირწყლითა და ფარნების დადგმით ხასიათდება. ევროპის ქალაქი გარეგანის მოწყობილობითაც და ყოველგვარ სულიერ საჭიროებათა დაკმაყოფილების მხრითაც გაცილებით მაღლა სდგას რუსეთისაზე და რაც დღე მიდის, უფრო და უფრო უსწრობს წინ. იყო დრო, როცა ევროპის ქალაქის მმართველობის ცხოვრებაც უნუგეშო სურათს წარმოადგენდა და სწორედ იმავე მიზეზების წყალობით, რომლებმაც რუსეთის ქალაქები დასცეს, სახელდობრ: საარჩევნო უფლების შეზღუდვამ და ქალაქების მმართველობათა სამოქმედო ასპარეზის შემცირებამ. მდიდარ კაპიტალისტებისათვის საკმარისი იყო ზოგიერთი ცენტრალური ქუჩები გაემშვენიერებინათ, ხოლო მცხოვრებთა უმრავლესობის საჭიროება-ინტერესებისათვის სრულიადაც თავს არ იტკივებდნენ. საქმეს ეშველა მხოლოდ მაშინ, როცა საქალაქო არჩევნები საყოველთაო შეიქნა; როცა ქალაქის საქმეთა სვე-ბედი ხალხს ჩაუვარდა ხელში და კაპიტალისტთა მონოპოლია მოისპო, როცა საქალაქო თვითმმართველობამ საუკეთესო ელემენტები დააინტერესა, მუშაობაც მაშინ გაჩაღდა...

გაზეთ «ცნობის ფურცელზე» ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის" კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოისეროს ის ნომერი, რომელიც ადრესზედ დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი" ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

დასავლეთ ევროპის ამ მაგალითმა დაამტკიცა, რომ საქალაქო პოლიტიკის გასაუმჯობესებლად საჭიროა საქალაქო თვითმმართველობის სრული დემოკრატიზაცია; საქალაქო არჩევნებში ქალაქის ყველა მცხოვრებლებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა, თანაც უნდა გაფართოვდეს საქალაქო მოღვაწეობის სამოქმედო ასპარეზი და, რაც შეიძლება, შესუსტდეს ადმინისტრაციის კონტროლი. საყოველთაო არჩევნები საფუძვლად უნდა დაედოს თვითმმართველობის შედგენის საქმეს, რაც ქალაქის დაწესებულებათა კარებს გაუღებს ინტელიგენციასა და მუშებს, რომელნიც ნამდვილი მამები იქნებიან ქალაქისა და დღევანდელ მამინაცვალებივით არ დაუწყებენ სამსახურს მარტო ერთის კლასის ინტერესებს. უეჭველია აგრეთვე, რომ სამოქმედო ასპარეზიც უნდა გაფართოვდეს. თუ ქალაქის მმართველობის ხელში არ იქნა სწავლა-განათლებისა და მშრომელ ხალხის მატერიალურ და გონებრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმე, რუსეთში ქალაქის მართვა-გამგეობა უძრავად დარჩება და ახალ დროის რთული მოთხოვნანი შეუწყნარებელი დარჩებიან. ამით, რასაკვირველია, სახელმწიფოც ზარალობს და ადგილობრივი ცხოვრებაც აბრკოლდება.

ჩვენებურ საქალაქო მმართველობაზე შემდეგ. **განი.**

ახალი ამბავი

✦ „ტიფ. ლისტ." სწერს: „კავკასიის უმაღლესი **მთავრობა გურიაში ჰგზავნის** ისეთ კაცს, რომელიც ამ კუთხის ცხოვრებას იცნობს. გაგზავნილმა უნდა გამოიკვლიოს ეკონომიური მდგომარეობა მცხოვრებთა და შეიმუშაოს ზომები იმათ კეთილდღეობის მოსაწყობად".

✦ ქიათურაში, „ნ. ო." სიტყვით, მოჰკლეს **შავი ქვის მრეწველი** ნ. ჩხეიძე, რომელიც უმთავრესი მოწმე იყო ქიათურაში მომხდარ არეულობათა საქმეში და რომელმაც გასცა არეულობის მომხრენი. ეს საქმე განვლილ მარტში გაირჩა.

✦ იმავე გაზეთის სიტყვით, სამ თებერვალს **ოზურგეთში უნდა შესდგომოდა** საქმეების განხილვას ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია. ამბობენ, ადმინისტრაციამ აცნობა სასამართლოს, ოზურგეთში შესვლა საშიშოაო. ხმა დადის, ოზურგეთის მაზრის მთელი პოლიცია სამსახურს თავს ანებებსო. უკვე წასულა სამსახურიდან სუფსის ბოქაული ქავთარაძე. 3 თებერვალს ბოქაულის კვაშალის სახლს ბერდანები დაუშინეს. ესროლეს 35 ტყვია. არავინ მომკვდარა და არც დაჭრილა.

✦ უკვე ვწერდით, რომ რკინის გზაზე, **მატარებლების მიმოსვლა ბათუმ-ფოთისკენ** ძალიან შეფერხებულია. საქონლის მატარებლები ჯერ კიდევ არ დადის ხაშურსა და ფოთ-ბათუმ შუა. ბათუმსა და ფოთში გემის დამტვირთველთ მუშაობა არ განუახლებიათ.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შეატყობინა **ყარს-ერევნის გზის** სადგურების უფროსებს, გამოუცხადეთ ყველა მემანქანეთ, მეტადრე სახალხო მატარებლებისა, რომ ფრთხილად იარონ მისახვევ-მოსახვევ ადგილებში; საათში ათი ვერსის მეტი არ გაიარონო.

✦ ტფილ. **ქალაქის საბჭოს კრების** გაგრძელება დანიშნულია დღეს, 10 თებერვლისათვის.

✦ გორის მაზრის სოფელ **ახალქალაქში ფილოქსერა აღმოჩნდა.** საფილოქსერო კომიტეტმა აღკრძალა ამ სოფლიდან ვაზის გატანა.

✦ **ბათუმში ჩავიდა** ხოპერის ყაზახთა პოლკის ერთი სოტნა.

✦ დღეს, 10 თებერვლისთვის, სახაზინო თეატრში დანიშნულია **ბენეფისი ქართულის თეატრის** არტისტის ქ-ნ ტ. აბაშიძისა. წარმოსადგენად დანიშნულია ზუდერმანის პიესა „პეპელათა ბრძოლა". მთელი დასი იღებს მონაწილეობას.

✦ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო კავკასიის სცენებზე **ქართულად შემდეგ პიესების წარმოდგენისა:** „ბრძოლის ველზედ", დრამატიული სცენები ორ სურათად, ანეტა კაპანაძისა, და „მამა", ტრაგედია სამ მოქმედებად სტრინბერგისა, თარგმანი თეოფ. ხუსკივაძის მიერ.

✦ როგორც გვატყობინებენ, **ოზურგეთში ორი დარაჯი** მოუკლავთ. მკვლელებს ბერდანის თოფები აუცლიათ და დამალულან.

✦ გუშინ, 9 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, მუხრანის ქუჩაზე **მოჰკლეს პოლიციელი** ოგურეცკი. ეს პოლიციელი ქუჩაში იდგა, ვიღაც მიჰვარდა, ორჯელ რევოლვერი ესროლა და იქვე მოჰკლა. მოკლულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს. მკვლელი ვერ დაიჭირეს.

✦ ავლაბრის მცხოვრებლებმა დაადგინეს, საერთო თხოვნით მიჰმართონ ადგილობრივ მთავრობას, რომ ბოქაული გოშელაური თავის ადგილზე დარჩეს. მცხოვრებნი ამბობენ, გოშელაური ჩვენი კაცია, ესმის ჩვენი ავი და კარგი, სამართლიანი და გამკითხავი ბოქაულიაო. როგორც გვქონდა აღნიშნული, გოშელაურის მაგივრად ავლაბარში მე 4 ნაწილის ბოქაული ბაჩურინი გადაიყვანეს.

✦ სად. გუმბრი. 8 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა მეისრის ბუდკას და დაიწვა. მიზეზი ჯერ არ არის გამორკვეული.

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელის მომწერთ დაურიგდებათ **სურათებიანი დამატება № 289.**

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 6 თებერვალს აქ სცენის მოყვარეთ წარმოადგინეს ქართულად „დემონი", ოპერა რუბინშტეინისა.

უნივერსიტეტი დაიხურა სექტემბრამდე.

ბაქო. დღეს, 9 თებერვალს, ბაქოს ინტელიგენციამ, მაჰმადიანებმა და სომხებმა, მაჰმადიანთა სამღვდელოებასთან ერთად და გუბერნატორის წინამძღოლობით შემოიარა მთელი ქალაქი და დაიწყნარა აღელვებული ხალხი. ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო.

ქალაქის საქმეები

1. „დვორნიკები", 2. 23 იანვარს დაზარალებულთა დახმარება. 3. 23 იანვრის ამბების გამოძიება. 4. ხმოსან გ. თუმანოვის წინადადება და ალ. არღუთინსკის სიტყვა.

ტფილისმაც ამოიღო ხმა და მხარი მისცა რუსეთის იმპერიის დანარჩენ ქალაქებს. ამოძრავებულ და აღელვებულ რუსეთის იმპერიაში მარტო ქალაქი ტფილისი სდუმდა და აი დღეს ისიც გვერდში ამოუდგა სხვა თანამოძმეებს, ჰფიქრობს სხვებთან ერთად იაროს რადგან დარწმუნდა, რომ დღეს სხვა გზა აღარ არის.

საბჭოში ტევა აღარ იყო. ქანდარამ მსურველების მესამედიც ვერ დაიტია და, რა კი კარიდორიც აივსო, თვით დარბაზში შეუშვეს მაყურებელნი: ხმოსნები სულ ერთ კუთხეში შეიჯგუფნენ და მათი ადგილები ერთ წუთს დაიკავეს. მადლობელი დამსწრე საზოგადოება საკვირველის წესიერებით იქცეოდა და ერთხელაც არ გამოუწვევია თავმჯდომარის შენიშვნა.

საქმე „დვორნიკებიდან" დაიწყეს. როგორც ვიცით, 46 ხმოსანმა შეიტანა საბჭოში განცხადება, რომლებშიაც თხოულობდნენ, რომ პოლიცია განეთავისუფლებია ადმინისტრაციას საპოლიციო მოვალეობათა ასრულებისაგან. უკვე უთხოვია ერთხმად შეიღეს ავლაბრელს—ფულს ვიხდით, კაცებს ვქირაობთ და სხვის (პოლიციის) საქმეს კი აკეთებინებენო.

ბევრი ცხარე სიტყვა წარმოსთქვეს ხმოსნებმა ამ ახირებულ „ინსტიტუტის" ახირებულ ღირსებებზე.

ალ. არღუთინსკიმ პირველმა ილაპარაკა: მშვიდობიანი ცოცხი საომარ კეტად შესცვალეს, ჩაუსაფრდებიან „შინაურ მტრებს" და ბოლოს ადენენ ზურგზე უდანაშაულო ხალხს; ბოლოს სულ თავს გვიდენენ და დღეს ტფილისელებს სამი ათასი ახალი ბატონი გვყავს, რომელთაც ჩვენვე ვაძლევთ ჯამაგირს ჩვენის დაწიოკებისათვის. არავინ ბაბავს საკუთარის თვალით უნახავს (და ვის არ უნახავს), რომ მეეზოვენი უწყალოდ სცემდნენ სრულიად უდანაშაულო ხალხს, ქალებსაც და ბავშვებსაც კი—უმაღლესის ბრძანებით ცემა მოისპო რუსეთში, მეეზოვენი აღარ ემორჩილებიან ამ უმაღლეს ბრძანებას, გვცემენ, ვითომდა წესიერების აღსადგენად. მერე ვინ დაავალა მეეზოვეებს წესიერების აღდგენა? მხოლოდ ადმინისტრაციამ წინააღმდეგ არსებულის კანონისა. აქ ხმოსანმა მოიყვანა ციტატა ჟურნალ „პრავო"-დან: კანონით წესიერების აღდგენა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ნამდვილ პოლიციელებს და არა კერძო პირებს; მეორეც, მეეზოების შენახვა დააკისრა ადმინისტრაციამ ქალაქის მცხოვრებთ, კანონით კი (საქალაქო დებულების მეცხრე მუხლი) ქალაქის მცხოვრებთ ვერ დაედებათ გადასახადი სხვაფრივ თუ არ საკანონმდებლო გზით (ე. ი. სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ დადგენილებით). ხმოსნის აზრით, საკმარისი არ არის 46 ხმოსნის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობის აღძვრა, საჭიროა ამასთანავე ვითხოვოთ, რომ მოისპოს გაძლიერებულ დაცვის წესი, რადგან ამ წესში იმარხება ფესვი უკანონობისა. ხმოსანი ქოჩორიანცი ჩვეულებრივ ოხუნჯობის გუნებაზე იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ დღეს მისი ოხუნჯობა უადგილო არ ყოფილა, პირიქით: ერთის გამოჩენილ მწერლის არ იყოს, ვინც კი უვარგისია და ყოველ სხვა საქმეში გამოუსადეგარია, ან მღვდლად ან პოლიციელად მიდისო; ეს ხომ ვიცით და შევეჩვიეთ კიდეც; მაგრამ ეს რა უბედურებაა—კაცს ვქირაობდე, ფულს ვაძლევდე და საქმეში კი ვერ მომეხმაროს! ფულს ვაძლევ და მევე უნდა მცემოს? ეს ხომ გოგოლის „უნტერ-ოფიცერშა" გამოვედით. „დვორნიკ"-ი პოლიციელის თანამდებობას არ უნდა ასრულებდესო, მაგრამ გარდა ამ თანამდებობისა ეს ჩემი დაქირავებული კაცი ხშირად პოლიციის მოხელის შვილებსაც უვლისო; ემ „ჩრეზვიჩაინაია ოხრანა" მართლა რომ დიდი უბედურებაა; არ გვინდა, ბატონო, ნუ-და „დაგვიცავენ", ჩვენვე მოვუვლით ჩვენს თავსო.

თუ ხმ. ქოჩორიანცი კი ასეთ კილოზე ლაპარაკობდა, სხვები ხომ სულ ცეცხლზე იდგნენ. პატარა დისონანსი პ. დოლუხანოვმა შეიტანა ამ შეწყობილ სასიამოვნო კონცერტში: მართალია, დიდი პრივილეგია არ არის „დვორნიკ"-ის თანამდებობის მიღება, მაგრამ რად არის, რომ მთელი სომხის ერი მოკლებულია ამ უფლებასო?

მთელი საბჭო ამ „ინსტიტუტის" მოსპობას თხოულობს და ბატონი დოლუხანოვი იმას-კი თხოულობს, პოლიცია რად ართმევს სომხებს უფლებას ამ თანამდებობაზედო. დამეთანხმებით, რომ ეს ყოვლად უადგილო იყო.

საბჭომ, რასაკვირველია, ერთხმად მიიღო 46 ხმოსნის წინადადება.

შემდეგ წაიკითხეს 33 ხმოსნის განცხადება—23 იანვარს ბევრი მუშა დაშავდა და დაზარალდა პოლიციისაგან და 2000 მან. გადადვით უფრო დაზარალებულთა დასახმარებლადო; საბჭომ უკამათოდ, ერთ ხმად მიიღო ეს წინადადება. იყო კიდევ წინადადება 38 ხმოსნისა—ამოვარჩიოთ საგანგებო კომისია 23 იანვრის ამბების გამოსაძიებლად ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად და ვიშუამდგომლოთ, რომ მუშებს ნება მიეცეთ თავისუფლად შეკრებისა, თავიანთ სურვილების გამოთქმისა და გაფიცვისა, რადგან უამისოდ არავითარ ღონისძიებას არ ექნება მნიშვნელობაო. ხმოსანმა ქოჩორიანცმა აქაც გაგვაკვირვა—მუშას აქამდე ჰქონდა სამი უფლება—უფლება მუშაობისა, უფლება გაჩუმებისა და ხანდახან ჭამის უფლებაცო და ეს საკმარისი არ არისო.

არ გაუკვირვებიათ ქართველ გენერლის გაქცევას ბრძოლის ველიდან—მუშათა საკითხი, გაფიცვის თავისუფლება, თავისუფლად აზრის გამოთქმა და ამგვარები შემოზეს ყუმბარაზე უფრო საშიშია ზოგისთვის. სომეხი გენერალი არ დაძრულა ადგილიდან—ბოლომდე ასრულებდა თავის მოვალეობას. შენი მტერი, მარტო გენერლების მიხედვით რომ გვიცნობდნენ, ქართველებს მშიშრებს დაგვიძახებდნენ.

საქმის პატრონებს მთავრობა აძლევს გაფიცვის უფლებას—სინდიკატებს არჩევენ, რომ უფრო უკეთ დაიცვან თავიანთი ინტერესები, მუშები-კი, რომელნიც შეუდარებლად უფრო სუსტნი არიან, ვერ უნდა შეერთდნენ და თუ გაბედეს, პოლიცია და კანონი სდევნის შეუბრალებლად; ყოვლად შეუწყნარებელი უსამართლობაა და ვიშუამდგომლოთ, რომ მუშებს მიეცეთ შეკავშირება-შეერთების და გაფიცვის უფლებაო, ერთხმად გადასწყვიტა საბჭომ.

ჯერი მიდგა გ. მ. თუმანოვის წინადადებაზე—ვიშუამდგომლოთ, რომ 1899 წლის 15 მაისის დროებითი წესები კავკასიის მხრის ქალაქების საბჭოს შედგენისა მოისპოსო.

ამ წესების ძალით, კავკასიის მთავარმმართებელს შინაგან საქმეთა მინისტრზე მეტი უფლება ეძლევა და ამგვარად ძირიანად უარყოფილია თვითმმართველობის პრინციპი.

ამ საკითხის გამო პირველად ილაპარაკა ალ. არღუთინსკიმ და მართლა მშვენიერი დასაბუთებული და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა; ჩვენ მოკლედ მოვიყვანთ მის შინაარსს:

დიდი, განუზომელი ზარალი მიაყენა ქალაქის ინტერესებს იმ გარემოებამ, რომ უმაღლესი ადმინისტრაცია კავკასიაში აღჭურვილი იყო ასეთის უსაზღვრო უფლებებით; აქ მე აღვნიშნავ მხოლოდ ამ ზარალის უმთავრესს მუხლებს.

ყველას ემახსოვრება, როგორის აღტაცებით მიეგება საზოგადოება და საბჭო ტრამვაის გამოყიდვის საქმეს. ყველაფერი მზად იყო, ერთხმად [illegible] ტრამვაის გამოყიდვა, ბელ[illegible] ადმინისტრაციამ კი უარი [illegible] ვერ მოვყიდით საქმეს, ასე ბელგიელ[illegible] ისარგებლეს და ქალაქმა დაჰკარგა ასი ათასზე მეტი წლიური შემოსავალი.

ადმინისტრაციამ განიზრახა საქალაქო საქმეების რევიზია; მაგრამ როგორი რევიზია მოახდინეს? წინადვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ გამგეობის წევრნი ბოროტ-მოქმედნი არიან და ყოველ საშუალებას ხმარობდნენ მათ გასამტყუნებლად. სანამ რევიზია სწარმოებდა, მთელი თვითმმართველობა სულ რევიზორებს უნდებოდნენ, შემდეგ ყველა პასუხის გებაში მისცეს, სასამართლოში სრულიად გაბათილდა ადმინისტრაციის ბრალდება და ყველა გაამართლეს. მაგრამ ამ რევიზიისა და სასამართლოს წყალობით სრულიად დაჰკარგა ქალაქისათვის მთელი ხუთი წელიწადი.

ვითხოვეთ ნებართვა ქალაქში საჯარო ბიბლიოთეკის გახსნისა და ადმინისტრაციამ უარი გვითხრა:

ვითხოვეთ უმაღლესი სასწავლებელი, დიდძალი ფული მოვაგროვეთ, ყოველ წლიური შემწეობაც

კარგა დიდი გვქონდა, და რომ ხელისმოწერის მართვის ნება გვქონოდა, ეხლა ერთობ დიდი ნა გვექნებოდა, მაგრამ ყველაფერზე უარი გვითხრეს.

ერთის სიტყვით, მთავარმართებელი, საგან- ებო უფლებებით აღჭურვილი, წინ ეღობებოდა ქალაქის ყოველ სასიკეთო დაწესებულებას, და, საკვირველია, უნდა ვიშუამდგომლოთ, რომ ეს საგანგებო წესები მოისპოს. მაგრამ ეგ სრულიად არის საკმარისი—სრულიად უნდა გავთანასწორდეთ დანარჩენ რუსეთთან. მაგრამ ეს კი საკმარისი იქნება?

ბიუროკრატია, რომელსაც ასე შეხუთული ავს მთელი რუსეთი და რომელიც დღეს სა- როდ უარყოფილია რუსეთის საზოგადოებისაგან, აქ, ჩვენში, კიდევ უფრო საგრძნობელია ამიტომ ამ ბიუროკრატიულ წესწყობილების ცვლა უნდა მოვითხოვოთ რუსეთის საუკეთესო ნაწილთან ერთად.

დასასრულ ხმოსანმა შემდეგი წინადადება მოიტანა: „რადგან ის ბიუროკრატიული თვითნებობა, რომელიც ავიწროებს მთელ რუსეთის საზოგადოებასა და ხალხს, საგანგებო ძლიერებით აქ, კავკასიაში, და განსაკუთრებით ტფილისში იჩენს თავს საქალაქო თვითმართველობის მოქმედების შევიწროვებით; რადგან არის არავითარი საბუთი განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენონ ქ. ტფილისი და ადგილობრივი ადმინისტრაცია საგანგებო უფლებებით აღჭურვონ; რადგან იმ თავითვე ჩვენი თვითმმართველობა მოწადინებული იყო მჭიდრო კავშირი ჰქონებოდა რუსეთის საზოგადოების მოწინაურებულ ნაწილთან, ტფილისის ქალაქის საბჭო, თანამოაზრე რუსეთის დანარჩენ საზოგადოებრივ ორგანოებისა, მოვალედ სთვლის თავის თავს განაცხადოს, რომ ერთად-ერთი გზა ქვეყნის გამოყვანისა ეხლანდელ მძიმე და საშიშ მდგომარეობიდან არის ხალხის მონაწილეობა კანონმდებლობაში.

მთელი საბჭო და აუარებელი დამსწრე საზოგადოება აღტაცებულის, ხანგრძლივის ტაშის ცემით მიეგება ხმოსნის წინადადებას. ასეთი მომენტი ტფილისის საბჭოს დარბაზს არ ახსოვს. არღუთინსკის სიტყვის შემდეგ ქალაქის თავმა საბჭოს საყურადღებოდ წაიკითხა ორი ქაღალდი: ერთი, ქალაქის მცხოვრებთაგან წარმოდგენილი (ძალიან ბევრს ჰქონდა ხელი მოწერილი), მეორე—ტფილისის ვექილებისაგან წარმოდგენილი. ორივე ქაღალდი არსებითად ერთსა და იმავე საგანს ეხებოდა: არსებულ პირობებში ცხოვრება შეუძლებელია, გამეფებულია სრული თვითნებობა, გვცემენ, არ გვზოგავენ არც ქალსა და არც ბავშვს, მცხოვრებთა პიროვნებას ველ წუთს რამე ხიფათი მოელის; აუცილებელია პიროვნების უზრუნველყოფა და ნამდვილ კანონიერების დამყარება. ვექილების ქაღალდში სხვათა შორის, იყო ნათქვამი, რომ დღევანდელ პირობებში შეუძლებელია რამე არსებითი დახმარება აღმოუჩინოთ დაპატიმრებულ მუშებს, მაგრამ მაინც გადაწყვეტილი გვაქვს ცოტა მაინც შევუმსუბუქოთ მდგომარეობა და იურიდიული დახმარება აღმოვუჩინოთ უსასყიდლოდ. (ვექილების ქაღალდიდან სჩანს, რომ 23 იანვარს ბევრ უდანაშაულო პირებ შორის უცემიათ ს. ფირცხალავასთვის).

ალ. არღუთინსკის სიტყვისა და ამ ქაღალდების წაკითხვის შემდეგ რომ არავის ელაპარაკნა, უკეთესი იქნებოდა—საზოგადოება სავსებით კმაყოფილი დაბრუნდებოდა სახლში, მაგრამ კიდევ ილაპარაკეს; სხვათა შორის, პატეტიური (მხოლოდ გარეგნად) სიტყვა წარმოსთქვა ხატისოვმაც. ბოლოს ლაპარაკი შესწყდა და თავმჯდომარე შეეკითხა საბჭოს—სავსებით თანაუგრძნობ ალ. არღუთინსკის წინადადებას, მაგრამ, სამწუხაროდ, კანონი ნებას არ მაძლევს კენჭზე უყარო მას და როგორ გსურთ, რომ მოვიქცეთ? გ. თუმანოვმა ურჩია საბჭოს—სხდომის ოქმს მიეკეროს მთელი სიტყვა ალექსანდრე არღუთინსკისა.

ალ. არღუთინსკიმ დიდი მადლობა შესწირა თავმჯდომარეს ნამდვილ ჯენტლმენურ ქცევისათვის; ხმოსანს მთელი საბჭო შეუერთდა, და მართლაც სასახელოდ და საქებურად იქცეოდა ბატონი ვერმიშევი. დასასრულ ხმ. თამამშევის წინადადებით საბჭომ დაადგინა თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნონ შინაგან საქმეთა მინისტრად ამყოფ თავად სვიატოპოლკ-მირსკის. ამათ [illegible] საბჭოს სხდომა და თავმჯდომარემ [illegible] გამოუცხადა დამსწრე საზოგადოებას [illegible] სამაგალითო დაცვისათვის.

ვიდი თებერვლის სხდომა დაუვიწყარი და- ს ჩვენის თვითმართველობის ისტორიაში— ნამდვილი ისტორიული სხდომა იყო.

ბაქოს ამბები

ბაქოში მეტად გამწვავდა საქმე სომეხთა თათრებს შორის. ჯარის სიმცირის გამო ერება ვერ აუდგენიათ. 6 თებერვალს ყებული სროლა და ჟლეტა-ხოცვა 7 ერვალსაც მთელი დღე და ღამე არ შეწყვეტილა. ხან აქ ქუჩაში გაისმის თოფის ხმა, ხან იქ. ბევრგან მოკლულთა გვამები ში ჰყრია. დუქნები, მაღაზიები, სახ- დაკეტილია. არსად არ შეიძლება ხორცის შოვნა. გუშინ ტფილი- გზავნა ერთი ვაგონი პური და ონი ხორცი. ყველა სასწავლებე- ლეტილია, ბირჟაზე ეტლები არ გამოდიან. ტრამვაი აღარა მუშაობს. ნავთის მწარმოებელთა კრებაც დაიკეტა. ხალხი შინიდან გარედ არ გამოდის. დიდძალი კაცია მკვდარი თათარი და სომეხი. ტფილისის საკომერციო ბანკმა დეპეშა მიიღო ბაქოდან. როგორც ამ დეპეშიდანა სჩანს, ბანკის განყოფილებაში რამდენიმე კაცი მოუკლავთ. როგორც ჩვენ გვატყობინებენ, გუშინ ცეცხლი წაეკიდა ალიხანოვის აპანოს და ვარანცოვის ქუჩაზე სამ სართულიან სახლს. როდესაც მქრობელი რაზმი მოვიდა, თათრებმა ბერდანები დაუშინეს და რაზმი უკან დააბრუნეს. რუსი მოჰკლეს ხუთი კაცი და ერთი პოლიციელი. ერთმა სომხის ქალმა თავის მოსამსახურე რუსი ქალი აივნიდან გადმოაგდო. ბაქოსა და საბუნჩას შუა მატარებლების მიმოსვლა შეჩერდა. საბუნჩის დუქნები თითქმის სულ აიკლეს. აუარებელმა მგზავრებმა მოიყარეს თავი სადგურზე, რომელნიც ბაქოს ჩავიდნენ, მაგრამ ეშინიანთ ქალაქში შესვლა.

გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა ვერმიშევმა შემდეგი განცხადება წარუდგინა კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს: „საშინელმა ამბებმა ბაქოში სისხლის ღვრისა, მკვლელობისა და ძალადობის შესახებ დიდად აღელვა ტფილისის ქალაქის მცხოვრებნი. გული სისხლით ევსება კაცს, როცა წარმოიდგენს ამოდენა მსხვერპლს იმ მშვიდ მცხოვრებთა შორის, რომელთაც ეგონათ, რუსეთის კანონი გვიცავს და გვიფარავს ძალ-მომრეობისაგანაო. ვინ არიან დამნაშავენი და ვისმა მხეცურმა მოქმედებამ მოუმზადა ნიადაგი ისეთს საშინელს სისხლის ღვრას, ამას გამოარკვევს მიუდგომელი მთავრობა. მაგრამ სანამ მთავრობა თავის გადამწყვეტ სიტყვას წარმოსთქვამდეს, კვნესა და გოდება ბაქოდან მავალებენ მე, როგორც წარმომადგენელს ტფილისის ქალაქის მცხოვრებლებისას, რომელთა შორისაც არიან როგორც სომხები, ისე მაჰმადიანები, ვემუდარო თქვენს მაღალ-აღმატებულებას, რომ პირადის ავტორიტეტით საქმეში ჩაერიოთ და ბოლო მოუღოთ იმ უსაშინელეს ხოცვა-ჟლეტას, რომელიც წარუხოცელ ლაქად ეცხება ჩვენს ისტორიას. მცხოვრებთა სახელით ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვიქონიო იმედი, რომ კავკასიის უმაღლესი მთავრობა, აღჭურვილი ყოველ საგანგებო რწმუნებით გვირგვინოსან ხელმწიფისაგან, ხმას ამოიღებს და დამშვიდებას ეცდება ეხლავე, როდესაც ორი ჯგუფი მცხოვრებთა ძმათა სისხლში ხელებს ისვრის. დიდია პასუხის მგებლობა, მთავრობისაგან დავალებული, მაგრამ უფრო დიდია გრძნობა კმაყოფილებისა, როცა მთავრობა თავის ავტორიტეტით მშვიდობას შეიტანს მცხოვრებთა შორის. აუცილებლად საჭიროა ბაქოში ჩქარი და ნამდვილი შემწეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს მოელის საშინელი ჟლეტა-ხოცვა და ისეთი ღვთის რისხვა, რომელთანაც არაფრად გამოჩნდება საშინელებანი საშუალო საუკუნოების ფანატიზმისა. როგორცა სჩანს, ბაქოში ადგილობრივი ადმინისტრაცია უძლურია, მოსპოს სისხლის ღვრა თავის საშუალებებით. ჩქარსა და ნამდვილს დახმარებას გაუწევს მცხოვრებთ მხოლოდ უმაღლესი მთავრობა თქვენის მაღალ-აღმატებულების სახით. თქვენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული გადარჩენა სიკვდილისაგან ასობით უდანაშაულო ადამიანთა. ის აზრი, რომ ბაქოში მოდებული ცეცხლი არ გაძლიერდეს და არ მოედოს ჩვენის ქვეყნის სხვა კუთხეებსაც და, სხვათა შორის, ტფილისსაც, მაბედვინებს და მავალებს გთხოვოთ, დააჩქაროთ ბაქოს მცხოვრებთა დახმარების საქმე“.

8 და 9 თებერვალს ტფილისის ქალაქის მოურავმა დეპეშები გაუგზავნა ბაქოს გავლენიან მაჰმადიანებს ფარუდ-ბეგ ვეზიროვს, ჰაჯი-ზეინალ-აბდულ-ტაგიევს, ამირდან-ბეგ ტოპჩიბაშევს, ჰაჯი-შახ-ალი დადაშევს, ჰასან ბეგ მელიქოვს, ალიევს და სხვებს და სთხოვა იხმარონ ყოველი ღონე ძმათა სისხლის ღვრის მოსასპობად და ბაქოში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. ამავე დროს ვერმიშევმა დეპეშით სთხოვა ბაქოს გავლენიან სომხებს, მოილაპარაკონ ზემოხსენებულ მაჰმადიანებთან ერთად და იღონონ რამ უბედურების თავიდან ასაცილებლად. გუშინ, 9 თებერვალს, ვერმიშევმა მიიღო დეპეშა ვეზიროვისაგან. ბ-ნი ვეზიროვი ატყობინებს: „დარწმუნებული ვარ, არასოდეს ეჭვს არ შეიტანთ, თუ ამ სამწუხარო ამბავმა რა ღრმად ამაშფოთა და დამაღონა. დღეს მივწერე ბარათი ბაქოს გუბერნატორს და წინადადება მივეც, ხალხის დასამშვიდებლად მოწვეულ იქმნენ სამღვდელოება, სასულიერო წოდების საპატიო წარმომადგენელნი და ყველა გავლენიანი პირნი, როგორც სომეხთა, ისე მაჰმადიანთაგან. მოწადინებული ვარ რა, მონაწილეობა მივიღო მშვიდობიანობის დასამყარებლად, ხვალ იმედი მაქვს, როგორც უნდა დამიჯდეს, ვაიძულო სამღვდელოება და ინტელიგენცია, გამოვიდნენ ხალხის დასამშვიდებლად. მთელი იმედი ხვალინდელ დღეზეა. შემდეგს შეგატყობინებთ“.

* * *

ახალი და ძველი

4.

გულის შემზარავი და აღმაშფოთებელი ამბები მოვიდა ბაქოდან: ერთი ხალხი დაერევია მეორეს და იღვრის სისხლი ქუჩებსა და სახლებში; იღვრის სისხლი უმანკო ბავშვებისა, უძლურ ქალებისა, სომხებისა, თათრებისა. გამხეცებული ბრბო უწყალოდ და მოურიდებლად ჟლეტს მოძმეთ...

ეგლა გვაკლდა, ეგლა აკლდა ჩვენს უბედურს ქვეყანას, ჩვენს დაბეჩავებულ მხარეს! გაიხარა მტრის გულმა, დავკარგეთ მოყვარეთა პატივისცემა. „ველური კავკასია, ველური კავკასიელნიო“, გაიძახოდნენ ყველგან და აი ჩვენ თითონ მივეცით საბუთი ხელში, ჩვენ თითონ ვითხრით სამარეს...

მერე რა დროს?! როცა ყველა მეზობელ და ჩაგრულთ შეერთება გვესაჭიროება, როცა შეთანხმებული მოქმედება გვინდა ჩვენის ქვეყნის საერთო ინტერესების დასაცველად, სწორედ მაშინ ერთმანეთს მივსევივართ და მხეცებივით გაშმაგებულნი ვხოცავთ მოძმეთ. სირცხვილი და თავის მოჭრა!.. სირცხვილი და თავისმოჭრა ჩვენში მცხოვრებ ერების შეგნებულ ელემენტებისა, რომელთაც დღემდის ვერ შესძლეს და ხალხში საჭირო დამშვიდება ვერ შეიტანეს, თავიანთ შორისაც გაამწვავეს ურთიერთობა და ბნელ ხალხს მუდმივის მტრობისა და შეურიგებელ სიძულვილის მაგალითს აძლევენ.

სხვაგანაც არსებობს ერთა შორის ქიშპობა, ბრძოლა; სხვაგანაც სძულთ ერთმანეთი, მაგრამ დანებითა და თოფებით არ ასწორებენ ანგარიშს,—ეს მხოლოდ ველურების იარაღია!..

ვისი ბრალია, ვის [illegible]ვამს დამნაშავის სკამზე მომავალი ისტორ[illegible], როცა ამ ამბებს შეეხება, როცა ამ საშინელ სისხლის ღვრაზე ამოიღებს ხმას? ყველას, გარდა იმ უბედურ ფანატიკოსებისა, იმ გამხეცებულ ხალხისა, რომელიც დღეს მოძმეთა სისხლს ღვრის. ყველა იმათ, ვინც სიბნელესა და გაჭირვებაში ამყოფებს არაფრის მცოდნე და შეუგნებელ ხალხს. ეს ეგზამენია ჩვენის წესწყობილებისა, ეს გამოცდაა იმ უმზგავსო წესებისა, რომელიც გაბატონებულია ჩვენს ქვეყანაში. ეს არის, ამან შეჰბორკა ხალხთა კეთილი ძალები და აამოძრავა ცუდი ინსტიქტები...

ყველამ, ვისაც-კი ცოტაოდნად მაინც უღვივის გულში ადამიანობის ცეცხლი, ვისაც ქვეყნის უბედობით ედაგვის გული, უნდა გააორკეცოს ბრძოლა დღევანდელ აუტანელ პირობებთან. დროა აგრეთვე, კარგა ხანია დროა კავკასიის ხალხების შეგნებულმა ნაწილებმა შეაერთონ ძალები ხალხთა შორის განხეთქილების მიზეზების გამოსარკვევად და მოსასპობლად. დროა, თორემ საერთო განკითხვის დღეც დადგება და ყველას მოგვსპობენ დედამიწის ზურგიდან... **ლასი.**

რუსეთის ქრონიკა

სტუდენტების გაფიცვა. ორ თებერვალს, 12 საათზე პეტერბურგის უნივერსიტეტის სადგომში შეიკრიბა სტუდენტები რექტორის პასუხის მოსასმენად. დელეგატებმა გადასცეს შეკრებილ სტუდენტებს, რომ, რექტორის სიტყვით, უმაღლესი მთავრობა წინააღმდეგი არ არის უნივერსიტეტის ყველა სტუდენტების ყრილობისა. ეს ყრილობა უნდა მომხდარიყო 7 თებერვალს. მიიღებენ მონაწილეობას გარდა სტუდენტებისა პროფესორები, ლაბორანტები და უნივერსიტეტში დატოვებულნიც (საპროფესოროდ რომ ემზადებიან). გარდა ამისა განზრახულია პრესის წარმომადგენლების მოწვევაც.

ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტების უკანასკნელ ყრილობაზე დაადგინეს—თუ ვინიცობაა ინსტიტუტში ლექციების კითხვა დაიწყეს, ისევ შევიკრიბოთ და შევსწყვიტოთ სწავლაო. ინსტიტუტის დირექტორმა უთხრა სტუდენტების დეპუტატებს—ეხლანდელ პირობებში წესიერ მუშაობის დაწყება შეუძლებელია და ვეცდები, რაც შეიძლება მალე, მოვახდინო თათბირი სტუდენტების დელეგატებისა და პროფესორებისაო.

ქალების უმაღლესს კურსებზე ლექციების კითხვა არ არის; არც არავინ ლაბორატორიებსა და კაბინეტებში მუშაობს.

პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორმა შეატყობინა სტუდენტებს—უწმინდესს სინოდში განცხადება მაქვს შეტანილი, რომ შვიდ მარტამდე გადაიდოს სწავლის დაწყება და სტუდენტებს დროებით დათხოვნის ბილეთები მიეცემათო. („რ. ვ.“).

27 და 28 იანვარს ნეჟინის ფილოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტების ყრილობაზე ერთხმად მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „სახელმწიფო წეს-წყობილებისა და კერძოდ სწავლის საქმის მდგომარეობა უკანასკნელ დროს ისეთის სიცხადით ეწინააღმდეგება ხალხის ცხოვრების არსებით მოთხოვნილებათ, რომ ჩვენ, სახალხო განათლების საქმის მომავალ მოღვაწეთ, სრულიად არ გვჯერა, რომ ჩვენ პედაგოგიურსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას რაიმე ნაყოფი ექმნეს. სახალხო განათლება, მთავრობის მეტ მზრუნველობის მიზეზით, ისეთ არა ნორმალურ პირობებშია ჩაყენებული, რომ სრულიად დამახინჯებულია მისი ნამდვილი აზრი და დანიშნულება. მაღალი, საშუალო და დაბალი სკოლები, სხვა-და-სხვა შევიწროვების მიზეზით, ისეთ მდგომარეობაშია, რომ სასკოლო საქმის წესიერად მოწყობა ყოვლად შეუძლებელია. სკოლაში არ არის არავითარი თავისუფლება და ინიციატივა. ამიტომ ჩვენ, ნეჟინის ინსტიტუტის სტუდენტები, როგორც მომავალი პედაგოგები, იმ აზრისანი ვართ, რომ ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სწავლება თავისუფალი იქმნება, რაც მიუღწეველია, თუ არ იქმნა საერთო სახელმწიფო პოლიტიკური თავისუფლება, თავისუფლება სიტყვისა, მწერლობისა, სინიდისისა, პიროვნებისა, შეკრებისა, კავშირისა და სხვა. სხვა-და-სხვა საზოგადოებრივ ჯგუფების და დაწესებულების მიერ მიღებულ რეზოლიუციებიდან გამოირკვა, რომ ყველა ამ პირობების განხორციელება ყოვლად შეუფერებელია არსებულ მდგომარეობასთან და რომ ხალხის არსებითი ინტერესი თხოულობს რუსეთის ყველა საზოგადოებრივ ძალთა მონაწილეობას სახელმწიფოს მოწყობა-მოწესრიგებაში. ამ მიზნისათვის ყველა ნამდვილი მოქალაქენი თხოულობენ მთელის ხალხის წარმომადგენლების მოწვევას, როგორც ერთად-ერთ გარანტიას თავისუფლებისა და კანონიერებისას. ვუერთდებით რა მთელის რუსეთის საზოგადოებისა და სტუდენტების ხმას, ჩვენ, ნეჟინის ინსტიტუტის სტუდენტები, ვახდენთ დადგენილებას—შევწყვიტოთ სწავლა, სანამ აკადემიური ცხოვრება არ ჩადგება ნორმალურ კალაპოტში. ვიწვევთ პროფესორებსაც შემოგვიერთდნენ“. („ნ. დ.“).

ს. ი. ვიტტეს, როგორც ისმის, განზრახვა უნდა ჰქონდეს სრულიად თავი დაანებოს პოლიტიკურ მოღვაწეობას; აქამდე თუ ვერ აასრულა ეს თავისი განზრახვა, მხოლოდ იმიტომ, რომ მინდობილი ჰქონდა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები. („ს.“).

კ. პ. პობედონოსცევის (უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის) მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესებულა და სრულიად არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო საქმეებში. ცნობილ ექიმების სიტყვით, კიდეც რომ უკეთ შეიქნეს ობერ-პროკურორი, ხანგრძლივი და სრული დასვენება დასჭირდება, რადგან მეტად დაქანცული არისო. მინისტრთა კომიტეტში და სხვაგანაც პობედონოსცევის მაგიერობას მისი ამხანაგი საბლერი ასრულებს. („ნ. დნია“).

მუშების დეპუტაცია. მუშათა საკითხის გამომკვლევ კომისიის თავმჯდომარესთან შიდლოვსკისთან ყოფილა მუშების დეპუტაცია, ოთხის კაცისაგან შემდგარი, და პეტიცია წარუდგენია. პეტიციაში მუშები თხოულობდნენ, რომ კომისიაში მიეღოთ მუშებისაგან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლები; გარდა ამისა დეპუტაციამ სთხოვა შიდლოვსკის—წინადადება მიეცით ქარხნებს, მოგვცენ, თუ სულ არა, ნახევარი მაინც იმ ფულისა, რაც გაფიცულ დღეებში უნდა აგვეღოო. შიდლოვსკის უპასუხნია, რომ კომისიაში იქნებიან მუშების წარმომადგენლებიცო; რაც შეეხება მეორე თხოვნას, ეგ ჩემი საქმე არ არის და ფინანსთა მინისტრს მიჰმართეთო. („რ. ვ.“).

პეტერბურგის ასოთ-ამწყობები. დიდი მუშაობა აქვს საგანგებო კომისიას, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს სტამბის პატრონებისა და ასოთ-ამწყობების ურთიერთი დამოკიდებულება. კომისიაში რამდენჯერმე მიუწვევიათ თვითონ ასოთ-ამწყობები სხვა-და-სხვა გარემოების გამოსარკვევად. აქამდე კომისიამ ის გამოარკვია, რომ ასოთ-ამწყობის მუშაობა სამ რიგად უნდა გაიყოსო: პირველია გაზეთზე მუშაობა, მეორე წიგნზე და მესამეც ეგრედ წოდებულ აკციდენტსა (ბლანკების კეთება და ამგვარები). რადგან გაზეთზე მუშაობა უფრო ძნელია, ამიტომ, კომისიის აზრით, წიგნის აწყობაზე 15 პროცენტით მეტი უნდა ეძლეოდეს. სამუშაო დღე განზრახულია 10 საათი; კომისიას აზრად ჰქონდა 9 საათის სამუშაო დღე, მაგრამ ეს შეუძლებლად უცვნიათ დიდძალ დღესასწაულებისა და გაშვებულ დღეებისა გამო. ბევრი ლაპარაკი გამოუწვევია კითხვას, თუ საშუალოდ დღეში რამდენ ასოს ააწყობს მუშა და ბოლოს, თვითონ ასოთ-ამწყობების დახმარებით ნორმად მიუღიათ 9 ათასი ასო (10 საათი სამუშაო დღეა მიღებული სახეში). რაც შეეხება ღამე მუშაობას, კომისიის აზრით, $6^{1}/_{2}$ საათის მუშაობა უნდა უდრიდეს დღის 10 საათს. („ბ. ვედ.“).

საზღვარ-გარედ

ავსტრია. „ნ. დ.“-ის კორესპონდენტი იწერება ვენიდან იმის შესახებ, თუ როგორ გამოიცვალა ავსტრიელების აზრი რუსის ხალხის შესახებ 9 იანვარს პეტერბურგში მომხდარ ამბების შემდეგ. წინად რუსის სახელი ყოველთვის ღიმილსა და შებრალებას იწვევდა იმათ შორის. ყველას უკვირდა და ეცოდებოდა, რამდენი ტანჯვა-ვაების მოთმენა შეეძლო რუსეთის დაჩაგრულ ხალხს ხმა ამოუღებლად, დუმილით, ქედმოხრილად. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ხალხში გამქრალია პროტესტის, გაბედულად ხმის ამოღების სურვილი. ბოლოს დროს მომხდარმა ამბებმა ყველა დაარწმუნა, რომ რუსეთის ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და ხალხი შეერთდა პროტესტის გამოსაცხადებლად. ამ ბოლო დროს ვენაში დაიბეჭდა ორი საყურადღებო და საგულისხმიერო სურათი: ერთზე წარმოდგენილია რუსი მუშა პეტერბურგის ამბების წინა დროისა და ქვეშ აწერია—„ეს კაცი ამბობს, ევროპიელი ვარო“, მეორე სურათზე წარმოდგენილია იგივე რუსი ქვეშ წარწერით: „ქუდი მოიხადეთ, თქვენს წინაშე რუსი დგასო“.

წინად, როცა ავსტრიელთა შორის ჩამოვარდებოდა ლაპარაკი რუსეთის განათლებასა, თვითმოქმედებასა, მრეწველობა-ვაჭრობასა და სამხედრო საქმეზე, ყველა იღიმებოდა, ყველამ იცოდა, რომ რუსეთის ცხოვრების სათავეში მოხელე დგას, რომელიც თავის სურვილის დაგვარად განაგებს რუსეთის შინაურს და გარეშე საქმეებს. რუსეთ-იაპონიის ომმა ხომ სრულებით გააქარწყლა პატივის ცემა რუსეთის მხედრობის მიმართ. ვენაში ხშირად მართავდნენ წარმოდგენებს და სახალხო გასართობებს, რომლებზედაც დაცინვით იხსენიებდნენ რუსეთსა და რუსეთის ცხოვრებას. ეხლა ვენელები სულ სხვა თვალით უცქერიან რუსეთს, მუშა ხალხს, რომელიც გაბედულად გამოკიდა თავის გულის ნადების გამოსათქმელად. ყველამ შეიგნო ეხლა უცხოეთში, რომ რუსის მოხელეთა თვითნებობის აღსასრული მოახლოვებულია, რომ საუკუნოებით აღზრდილი ძლიერება ბიუროკრატიისა შეირყა. ბიუროკრატიამ შეიტყო, ბოლოს და ბოლოს, რომ ხალხი მისთვის არ არის გაჩენილი, ძალა-უნებურად ყური უნდა ათხოვოს ეხლა ხალხის ღაღადისს, მშიერ-მწყურვალ მუშათა სამართლიან მოთხოვნილებას.

გერმანია. „რუსკ. ვედ.“-ის ბერლინელი კორესპონდენტი, ცნობილი მწერალი იოლოსიც საინტერესო ცნობებს გვიზიარებს იმის შესახებ, თუ როგორ უცქერიან გერმანელები რუსეთის ხალხის მოძრაობას. გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და უცხოეთის სხვა სახელმწიფოების ხალხებმა მხოლოდ ეხლა შეიტყეს, თუ რა არის რუსეთის ერობა, ქალაქის თვითმმართველობა, რა ნაწილი უდევს რუსეთის განათლებულ ხალხს დღევანდელ მოძრაობაში.

უცხოეთის გაზეთები თვალს ადევნებენ რუსეთ-იაპონიის ომს, რომელიც უკვე ერთი წელია, რაც დაიწყო, და იოლოსის სიტყვით, [illegible] გულს სევდა მოეფინება, ისეთის მწარე [illegible]რატებით გამსჭვალულია ეს მიმოხილვა. [illegible] ერთი წლის განმავლობაში რუსეთმა დახარჯა ამ ომზე ათას ხუთასი მილიონი მანეთი. წარმოიდგინეთ ეხლა, რა დიდ ნაბიჯს წარსდგამდა წინ რუსეთი, ეს ფული რომ მის შინაგან ცხოვრების გაუმჯობესებას მოხმარებოდა და არა ცხრა მთას-იქით სხვის ადგილების ხელში ჩაგდება-დაპყრობას. რაც უფრო გაგრძელდება ომი, მით უფრო გაუჭირდება რუსეთს საზღვარ-გარედ ფულის შოვნა სასესხებლად. საფრანგეთში რუსეთის კრედიტი უკვე გამოლეულია, გერმანიაში კი არ ურჩევ რუსეთს ცდას სესხის ასაღებათო. ყველამ შეიგნო ეხლა იქ, რომ ომის განგრძობა სრულებით ფესვს ამოუთხრის [illegible] თის კეთილ-დღეობას, ისეთ მდგ[illegible] ჩააყენებს, რომ ხალხმა შემდეგ მთელ[illegible] თავისი ძალღონე უნდა მოახმაროს დიდ-ძა[illegible] სარგებლის გადახდას. უცხოეთის კონსერვატორებიც, ძველი წესის დამცველებიც დარწმუნებულნი არიან ეხლა, რომ რუსეთის დღევანდელი წესწყობილება დიდხანს ვერ გასტანს, რომ ხალხმა სავსებით შეიგნო ამ წესის უვარგისობა და ამ მდგომარეობის განგრძობა შეუძლებელია. რუსეთის ბიუროკრატიის თვალ ახვეულობა, საბრმავე ყველას ენაზე აკერია ეხლა უცხოეთში. ყველამ შეიგნო, რომ რუსეთის მოხელეებმა თვითონ ამოუთხარეს ძირი თავის ბატონობას, თავის ხელით დღე შეიმოკლესო.

სხვათა შორის, დღევანდელ ამბების გამო გერმანიის გაზეთებში მოყვანილია ფაქტები გერმანიის მონარქიის დროიდან. მაგალითად მოყვანილია საყურადღებო სიტყვები, რომლებითაც მონარქიის მომხრემ იოანე იაკობიმ მიმართა მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმს: „გვირგვინოსანთ სძაგთ ჭეშმარიტება და მონარქიის უბედურებაც სწორედ ეს არისო“.

ბათუმის საქმეები

ბათუმმა თავისი ჩვეულებრივი სახე მიიღო: დუქნები და ყავახანები ღიაა, ბირჟაზე ეტლი რამდენიც გნებავს, იმდენია, ერთი სიტყვით, ყველა თავის საქმეს დაუბრუნდა. მხოლოდ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქციის დარაბები კვლავ მაგრად დაკეტილია რკინის [illegible]ბით, თითქო ბ-ნი პალმი ვიღასაც შეუშინდე[illegible] მისმა გაზეთმა შესწყვიტა თავისი „კეთილშობილური სამსახური სამშობლოს და კაცობრიობის სასარგებლოდ“. დაიშალა „პატიოსან მებრძოლთა“ გუნდი! განქრა, სიმართლის მღაღადებელი, შეუპოვარი ხმა ბ-ნ იუმორისტისა, ძმობის ქადაგება ბ-ნ ნიკისა, თვალზე ცრემლის მომგვრელი ნეკროლოგები ბ-ნ ტ-ნისა? განქრა ყოველი, ვითა სიზმარი ღამისა! და მერე რო-

გორ, რა მიზეზით? ისე რომ ერთი „პრედოსტერეჟენიეც“-კი არ მიუღია ბ-ნ პალმის გა[illegible]ოს! გაზეთში თქვენი ჭირი წაიღოს, შემო[illegible]ავლიან დეპეშის ბეჭდვაზეც კი ხელი აუღია ბ-ნ პალმს!... ღმერთო გვიხსენ ბოროტისაგან!

3 თებერვალს, საინტერესო საქმე გაირჩა ბათუმის მომრიგებელ მოსამართლის კამერაში. ფელდშერი სტანკევიჩი უჩიოდა ბათუმის „პუნკტოვი“ ბეითალის ბ-ნ ლოპატინს 83 დღის განმავლობაში თავის საკუთარ სახლში მოსამსახურედ მიუღია და როდესაც გაუბედე და მოვახსენე, მე ფელდშერი ვარ და არა თქვენი კერძო მოსამსახურეო, ბ-ნ ტურკინთან (ბეითალთა ინსპექტორია) მაჩივლა და ადგილიდან დამითხოვაო. მოწმეთა ჩვენებიდან აღმოჩნდა, რომ სტანკევიჩი მართალს ამბობდა. თურმე როცა სტანკევიჩმა „პროტესტი გიცხადა“, ბ-ნმა ლოპატინმა უპასუხა, მე ფელდშერი რად მინდა, მე „სტოროჟი“ მინდაო, და მართლაც იმ ადგილზე, სადაც ფელდშერი უნდა იყოს, უბრალო „სტოროჟი“ მიელო. მიმჩივანი თხოულობდა, გადაახდევინეთ ბ-ნ ლოპატინს რაც მერგება ჩემ სამსახურით (83 მან). მაგრამ სასამართლომ სტანკევიჩს უარი უთხრა, —ყველაფერი, რასაც ამბობ, მართალია მაგრამ რატომ არ იცი, რომ როცა ბ-ნ ლოპატინთან მოსამსახურეობას ეწყობოდი „კონტრაქტი“ უნდა შეგეკრაო! სტანკევიჩს კიდევ ვერ გაუგია და ამბობს, „ნაჩალნიკთან“ კონტრაქტი ვინ გაიგონა, ხელ-ქვეითი ხარ გიბრძანებს, უნდა აასრულოო! სტანკევიჩი განსაჩივრებას აპირებს. ხოლო რომ მკითხველმა იცოდეს ვიზეა ლაპარაკი, გავხსენებთ, რომ ეს ის ლოპატინი გახლავთ,, რომელმაც, ომი რომ დაიწყო, ბათუმის ქალაქის გამგეობას მიჰმართა, (ბ-ნ ტურკინთან ერთად)! —„პატრიოტული გრძნობით ვიწვი“ და გთხოვთ ერთი წლის ჯამაგირი წინდაწინ გამომიწეროს და წითელ ჯვარს გაუგზავნეთო. გადაამოწმეს მთელი „უპრავა“ და აღმოჩნდა, რომ ბ-ნი ლოპატინი არც ქალაქის სამსახურში ყოფილა და არც თურმე კაპეიკი ერგებოდა! აი ნამდვილი ენუქის ანდერძი!...

რირ

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 თებერვალი.

ლონდონი. როგორც იაპონელთა წყაროებიდან სჩანს რუსები თან-და-თან უფრო მხნედ მოქმედებენ. რუსები ლაზუტაისს დიდ ზარბაზნებიდან უშენენ ყუმბარებს. მთელ ფრონტზე რუსებმა დაამთავრეს საფორტიფიკაციო მუშაობა. ოიამა ჰფიქრობს, რომ გადამწყვეტი ბრძოლა უფრო ადრე მოხდება, ვიდრე ეგონა.

კოპენჰაგენი. გუშინ სკაგენში მოვიდა ბალტიის მესამე ესკადრა. აკლია ესკადრას „ვლადიმირ მონამახი“, რომელიც დაზიანდა და სპროგში გაჩერდა შესაკეთებლად. დღეს ეს კრეისერიც მოვიდა.

შანჰაი, 6 თებერვალი. რუსებმა პირველად დაუშინეს იაპონიის ჯარის ცენტრს, შემდეგ დიდი დემონსტრაცია მოახდინეს, თავადი უხტომსკი შანჰაიდან სან-ფრანცისკოში მიდის. ჰფიქრობენ, რომ მალე დიდი ამბები მოხდება.

ვაშინგტონი. მცოდნე კაცები მოელიან, რომ მალე ბრძოლა მოხდება ტოგოსა და როჟესტვენსკის შორის. ამბობენ, ტოგომ იცის, სადაც არის როჟესტვენსკი და მოუთმენლად მოელის იმასთან ბრძოლასაო. იაპონელები ჰფიქრობენ, მიუხედავად იმ უპირატესობისა, რომელიც რუსებსა აქვთ ქაღალდზე, იაპონელთა ფლოტი თავის თვისებებით მაინც სჯობნის რუსეთისას. იაპონელები აქამდე აგვიანებდნენ რუსის ესკადრასთან შეხვედრას, რადგან თავიანთ გემების შეკეთებაში იყვნენ. ეხლა ეს გემები მზად არის. რუსის გემები კი თან-დან-თან ფუჭდება ხანგრძლივის მგზავრობისაგან, ამის გამო უპირატესობა იაპონელთა მხარეს არის. ამას გარდა იაპონელთა ზარბაზნები უფრო შორს მსროლელია. ყოველ შემთხვევაში შეიძლება რუსის ესკადრამ გაარღვიოს გზა ვლადივოსტოკისაკენ, მაგრამ მაშინ ისინი მოჰყვებიან ხაფანგში, საიდან გამოსვლაც შეუძლებელი იქნება.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 თებერვალი.

სეიატუნი, 8 თებერვალი. თითქმის განუწყვეტელი სროლაა ზარბაზნებისა და თოფებისა. ხშირად მტრულს მეგობრულ-ურთიერთობა მოსდევს ხოლმე. ჩვენს პოზიციებზე მუსიკა უკრავს. იაპონელები თხრილებიდან „ურა“-ს ჰყვირიან. ამასთან ქაღალდის ფურცლებს ჰგზავნიან ზედ-წარწერით, ვითომ მალე ზავი ჩამოვარდებაო.

ლონდონი, 9 თებერვალი („დეილი ტელეგრაფი“). ადმირალი კამიმურა ატყობინებს იაპონიის მთავრობას, რომ ჩემი ესკადრა ინდოეთის ოკეანეს შესავალთანაო. ფიქრობენ, რომ მალე დიდი საზღვაო ბრძოლა მოხდება.

ჩიფუ, 8 თებერვალი. გუშინ გამოჰკითხეს ორი დაპატიმრებულ ჩინელს. ამათ სთქვეს, პორტ-არტურიდან გამოსული ნავი მთელ ღამეს ლიაოტეშანთან იდგა, რადგან ქარის მიმართულება შეიცვალაო. დილით აგენტებმა უბრძანეს ჩინელებს, გზას გასდგომოდნენ; ჩინელებმა ყური არ ათხოვეს. აგენტებმა ორჯელ გაისროლეს რევოლვერი, გასჭრეს თოკი და მომართეს აფრები. მეორე დღეს, როდესაც აგენტები მთვრალები იყვნენ, ჩინელებმა ორივე აგენტი ზღვაში გადააგდეს. ნივთები გაანადგურეს, ძვირფასი განძი გაიყვეს. აღმოაჩინეს ზოგიერთი ნივთები. როგორც სჩანს, შეპყრობილნი მხოლოდ მოწმენი იყვნენ და არა მონაწილენი მკვლელობისა.

ლონდონი, 9 თებერვალი. რეიტერმა გამოაქვეყნა დეპეშა თავის პეტერბურგელ კორესპონდენტისა ზავის პირობათა შესახებ. იაპონიის ელჩმა განაცხადა, არ შემიძლიან აღვნიშნო, რა პირობის მიღება შეუძლიან იაპონიასაო. ელჩს არ მიუღია ცნობა იმის მალე მოსპობის შესახებ და ფიქრობს, რომ იაპონია სრულებით არ ეცდება ამ მხრივ. რაც შეეხება რუსებს, ახალი არა არის რა, მაგრამ შეიძლება შინაურმა მდგომარეობამ აიძულოს იგი ზავის ჩამოსაგდებადაო.

ტოკიო, 9 თებერვალი („რეიტერი“). იაპონიის მთავრობამ შეუკვეთა 15 ნაღმიანი გემი ხაზინისა, ხოლო 10 კერძო ნავთსაშენებელთ. ამბობენ, 4 თებერვალს იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს უცნობი გემი, ყინულებში ჩაჭედილი, რომელიც ვლადივოსტოკში აპირებდა შესვლასაო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 თებერვალი

ნიუ-იორკი. ინდიანოპოლისის სავაჭრო უბანში დიდი ცეცხლი გაჩნდა და მცხოვრებთ ერთი მილიონ დოლარის ზარალი მიაყენა.

პეტერბურგი. ოფიციალური. 8 თებერვალის სხდომაზე მინისტრთა კომიტეტმა მოისმინა ცნობა შესახებ ამისა, რომ თანახმად უწმინდეს სინოდის დადგენილებისა, ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად ინება ამ წლის 29 იანვარს განთავისუფლება მონასტრიდან შვიდის გლეხისა. შემდეგ კომიტეტმა განიხილა სტაროობრიადცების სასულიერო პირთა მდგომარეობა და ის აზრი გამოსთქვა, რომ მათ უფლება მიენიჭოს წინამძღვრებად იწოდებოდნენ და კერძოთ და საჯაროთ წირვის წესები აასრულონ, რასკოლნიკების შვილებს სკოლებში სამღვთო სჯული ასწავლონ, მეტრიკის წიგნები აწარმოონ და სხვ. გარდა ამისა კომიტეტმა განიხილა საკითხი სტარო-ობრიადცებისა სკოლების გახსნისა, სხვა-და-სხვა წიგნების დაბეჭდვისა და სახელმწიფო სამსახურში სხვა ქრისტიანებთან ერთად თანასწორ უფლების მინიჭება.

ლონდონი, 8 თებერვალი. როგორც ლონდონის ვოლონტერთა რვა კორპუსის ოფიციალურ ანგარიშიდან სჩანს, 1902 წლის იანვარში ვოლონტერთა რიცხვი 3000-ით დაკლებულია.

ბერლინი, 8 თებერვალი. იმპერატორი ვილჰელმი ხმელთა შუა ზღვაში მგზავრობის დროს ბალტაზე ინახულებს ახალგაზდა პრინცს ადალბერტს, რომელიც ორი წლის შორეულ აღმოსავლეთის წყლებში მგზავრობის შემდეგ დაბრუნდება.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 თებერვალი

კონსტანტინეპოლი, 7 თებერვალი. გუშინ სტრუმიცას ახლო ბოლგართა რაზმს შეტაკება მოუვიდა ოსმალეთის ჯართან. რაზმის მომეტებული ნაწილი გასწყდა, ჯარს 20-მდე კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

ბერლინი, 8 თებერვალი. ჰესენის დიდი ჰერცოგი თავის მეუღლით დიდის მთავრის დასაფლავებაზე დასასწრებლად წავიდა.

პარიზი, 8 თებერვალი. კონსტანტინეპოლიდან მოსულ ელჩის კონსტანის აზრით, მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან კარგად დასრულდა, რკინის გზების აშენების უფლება საფრანგეთის საზოგადოებას მიეცა.

ვენა, 7 თებერვალი. ავსტრიის იმპერატორის სასახლეში 10 დღით მგლოვიარობა დააწესეს დიდის მთავრის გარდაცვალებისა გამო.

ბაქო, 8 თებერვალი. კვირიდან დაწყებული მაჰმადიანები თავს ესხმიან სომხებს იარაღით; ორშაბათს უწესოებამ საშიში ხასიათი მიიღო. ამბობენ, რომ მოკლული ასობით არის, დაჭრილიც ძალიან ბევრია. ყოველივე მოქმედება შეჩერებულია. ბანკები დაკეტილია. მიზეზი შურისძიება უნდა იქნეს.

სტოკჰოლმი, 7 თებერვალი, რუსულ გაზეთების ცნობა, რომ შვეცია-ნორვეგიის ომის მოლოდინმა ძლიერი ემიგრაცია გამოიწვიაო, საფუძველს მოკლებულია.

ბრესლავლი, 7 თებერვალი. „შლეზიშე ცაიტუნგ“-ი იტყობინება, რომ ნახშირის გატანა რუსეთში სოსნოვიცაზე შეჩერებულია ახალ განკარგულებამდე.

ვარშავა, 7 თებერვალი. მზრუნველმა მიუწერა გიმნაზიებს, რომ სწავლა განაგრძონ.

პეტერბურგი, 8 თებერვალი. დღეს საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა დიდი მთავარი პავლე ალექსანდრესძე.

მოსკოვი, 8 თებერვალი. მეეტლე რუბინკინი, რომელიც დიდის მთავრის მოკვლის დროს დაიჭრა, მოკვდა იაუზის საავადმყოფოში. რუბინკინს 76 ჭრილობა ჰქონდა. წესის აგების შემდეგ დიდის მთავრის გვამის დასასვენებლად მზადდება განსაკუთრებული ადგილი ანდრია პირველ წოდებულის ტაძარში, რომელიც ჩუდოვის მონასტრის შესავალშია. სამების ეკკლესიაში დღეს, დილიდან დაწყებული, სხვა-და-სხვა საზოგადოების და დაწესებულების მიერ გარდახდილ იქნა თორმეტამდე პანაშვიდი.

პეტერბურგი, 8 იანვარი. უმაღლესის ბრძანებით, დღეს მოსკოვში მიდის დიდის მთავრის წესის აგებაზე დასასწრებლად დეპუტაცია გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან. დეპუტაციაში არიან მინისტრის ამხანაგი ობოლენსკი-ნელედინსკი-მელეცკი, დირექტორი გარტვინგი და ბარონი ბუკსგევდენი.

მოსკოვი, 8 თებერვალი. მოვიდა პრინცესსა ვიქტორია ბატენბერგი. 2 საათზე დიდი მთავრის პანაშვიდი იქნა გადახდილი დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულის, დიდის მთავრის დიმიტრი პავლეს ძის, დიდის მთავრინა მარიამ პავლეს ასულის და დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის დასწრებით.

პარიზი, 8 თებერვალი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა წარუდგინოს პალატას სამხედრო რეფორმის პროექტი, როგორც კი გათავდება ბიუჯეტის განხილვა. მთავრობა თანახმაა სენატის დადგენილება მიიღოს პალატამაც და ამ გზით დაჩქარდეს ახალი კანონის განხორციელება.

ლოძი. ელექტრონის გზის მმართველობას გადაუწყვეტია გააუმჯობესოს მაშინისტებისა და კონდუქტორების ყოფა-ცხოვრება: მოუმატოს ჯამაგირები, მოუკლოს სამუშაო დღე, დაარსოს ავადმყოფოსათვის კასსა და დაბალ მსახურთა შვილების აღსაზრდელად გახსნას პირველ-დაწყებითი სასწავლებელი.

ლონდონი. ინგლისელთა ექსპედიციის მეთაურმა იონგხებანდმა 500 ათასი გირვანქა სტერლინგი კონტრიბუცია გააწერა ტიბეტს, რომლის გადახდა 75 წელზე გაანაწილა. ახლა მთავრობამ ეს ვადა სამ წლამდე შეამცირა. კონტრიბუციის გადახდის უზრუნველყოფისათვის ინგლისი ჯარს ჩააყენებს ცუმბოს ხეობაში. გამოირკვა, რომ კონტრიბუციის გადახდა ტიბეტს ძალიან გაუჭირდება, ინგლისის ოპპოზიციის წრეებს ჰსურთ ეხლავე გაიგონ, რა ბედი მოელის დროებით დაჭერილს პროვინციას, თუ ტიბეტმა კონტრიბუცია ვერ გადაიხადა.

ლონდონი. რედმონდის მიერ წარდგენილი შესწორება სიტყვა-სიტყვის საპასუხო ადრესისა ეხებოდა ირლანდიის ჰომრულს. შესწორება უარყოფილ იქმნა 256 ხმით წინააღმდეგ 236-ისა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, რომ დიდის მთავრის სიკვდილის გამო რუსეთის ჯარში გლოვიარობა დაწესდეს 3 თვის განმავლობაში (1 მაისამდე).

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

9 თებერვალი.

რომი, 8 თებერვალი. დეპუტატთა პალატაში შეტანილ იქნა კანონ-პროექტი ხაზინის მიერ ხმელთა შუა ზღვის, ადრიატიკის და სიცილიის რკინის გზების გამოსყიდვის შესახებ.

ბუდაპეშტი, 8 თებერვალი. პალატის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა კოშუტის დასის წევრი იუსტი, ვიცე-პრეზიდენტებად—ვოლგარი და სახალხო დასის წევრი რაკოვსკი.

ბელგრადი, 8 თებერვალი. მთავრობამ გადასწყვიტა შეაერთოს რკინის გზით სერბია-რუმინიის საზღვარი ბოსნიის საზღვართან.

მოსკოვი, 8 თებერვალი. კრემლი მთელი დღე სავსეა ხალხით. დიდ მთავრის კუბოსთან განუწყვეტელი პანაშვიდებია. ჯერ-ჯერობით მორიგეობენ ამალის და სამეფო კარის წევრნი და აფიცრები. საღამოს 8 საათზე მიტროპოლიტმა და სამმა მღვდელმთავარმა გადაიხადეს უმაღლესი პანაშვიდი. ილოცეს აგრეთვე ერთგულ მსახურის ანდრიას სულის მოსახსენებლად. მოვიდა საგანგებო მატარებლით დიდი ჰერცოგინია საკსენ-კობურ-გოტისა. მოსკ. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა აარჩიოს კომისია სწავლის დაწყების და საშუალებათა შესამუშავებლად. საბჭოს დადგენილებით, უნივერსიტეტი უნდა დაიხუროს.

ლონდონი, 7 თებერვალი. ირლანდიელმა რედმონდმა შეიტანა წინადადება ადრესის შესწორების შესახებ· ადრესში რედმონდი ჰკიცხავს მთავრობას.

ვაშინგტონი, 7 თებერვალი. გადასწყდა დაინიშნოს კომისია იმ კანონის გადასათვალიერებლად, რომელიც შეეხება ამერიკის ქვეშევრდომობის მოპოებასა და დაკარგვას, აგრეთვე საზღვარ-გარედ ამერიკის ქვეშევრდომთა დაცვის საქმეს.

ბერლინი, 8 თებერვალი. პრინცი ფრიდრიხ ლეოპოლდი 21 მარტს შანხაის მივა, ერთი კვირის შემდეგ—პეკინს, მერე იქიდან ბრძოლის ველზე წავა მანჯურიაში

პეტერბურგი, 8 თებერვალი. ხელ-ახლა აღმოჩნდა ხოლერა დონის ოლქის სოფელ ბასოვსა და მოროზოვსკის სტანიცაში. 23 იანვრიდან 4 თებერვლამდე ავად გახდა 7 კაცი, მოკვდა 3. ვიატკის გუბერნიაში 26 იანვრიდან 4 თებერვლამდე 32 ადამიანი გახდა ავად ციმბირის ჭირით.

ვარშავა, 9 თებერვალი. როგორც სამოსწავლო ოლქის მზრუნველი აცხადებს, დაიკეტა ახალ განკარგულებამდე ქალთა და ვაჟთა საშუალო სასწავლებლები, ვაჟთა პირველ და მეექვსე და ქალთა პირველ და მესამე გიმნაზიების გარდა. სხვა სასწავლებლებში მოსწავლე მართლ-მადიდებელთათვის კერძოდ მოეწყობა სწავლა.

სტამბოლი, 9 თებერვალი. მთავრობის ზომების მიუხედავად, ახალგაზდა ოსმალთა მოძრაობა თან-და-თან ვრცელდება. ამ ცოტა ხანში დიდი ამბები მოხდება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 8 თებერვალი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,25
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,67$^1/_2$
ბირჟის დისკონტი	5$^1/_4$-6$^3/_4$%
4% სახელმწიფო რენტა	90$^1/_2$
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	87$^3/_8$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	400
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	330
5% გირ. პომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	272
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4$^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	231$^1/_2$

მიმოსვლა რკინის გზისა მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. [illegible] წ.).

[illegible]ს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. [illegible] (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის [illegible] 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8|7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში
   ღია არის დილით 10—2 საათ
   „ „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ „ საღამ. 5—8 „

ტფილისის

სამარხი კასის

საზოგადო კრება

დანიშნულია სათავად-აზნაურო ქარვასლაში თავად-აზნაურთა მამულების მმართველთა კანტორაში № 153. შაბათს თებერვლის 12 საღამოს ექვსს საათზედ.

განსახილველად და დასამტკიცებლად წლიურის ანგარიშისა, ასარჩევად სამის სარევიზიო და ერთის გამგეობის წევრისა და წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა-დამატებისათვის. (3—1)

უმორჩილესად გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ქარხნის დაღს.

ამ ბოლო დროს ბაზარზე იყიდება მოლაპარაკე მანქანები სხვა-და-სხვანაირი, რომელსაც გამკეთებლები ეძახიან „ტონარმამის და ამით ჰბაძავენ ჩვენ მიერ გამოგონილ და გასასყიდად გატანილ გრამოფონებს, რომელსაც „**ტონარმი**“ ჰქვიან.

რადგან რუსეთის იმპერიის კანონებით სახელის მითვისება კონტრაფაქციად არ ითვლება, ამიტომ იურიდიული უფლება არა გვაქვს, ავუკრძალოთ ვისმეს ამ სახელის ხმარება.

ამისდა მიუხედავად, საყვედურის თავიდან ასაცილებლად, მოვალედ ვრაცხთ ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ერთად-ერთი „**ტონარმები**“ საუკეთესო თვისებისა ის არის, რომელსაც ჩვენი ფირმა ამზადებს, ამასთან ყველა ჩვენ აპარატს აქვს ჩვენის ქარხნის დაღი.



„მწერალი ანგელოზი“.

სააქციო ს-ება გრამოფონი

ტფილისის განყოფილება.

(3—1)

უმორჩილესად გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ქარხნის დაღს.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

აფხანაურის ამერიკულ ვაზის სანერ

მ. ა. ანანოვისა

იყიდება ამერიკული ვაზები Ripari
pestris, აგრეთვე დამყნილი ადგილობ
ფრანგულ ჯიშის ვაზები.
ადრესი: „Ст. Ріонъ З. Ж. Д“.
ალექსანდრეს ძე **ანანოვს.** (12—39

ტფილისში ტანისამოსის მკერა

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დ
მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული
მოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო
ქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავ
მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფ
გათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალ
მიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბ
მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარ
დაპირ.

Доз. ценз. Тифлисъ, 9 февраль 1905 г.
Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამ[illegible]ლი[illegible]